ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 23 მაისი, 2013 | №120 (6121) | ფასი: 30 თეთრი

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი

ვანო მერაბიშვილს სასამართლოზე საკუთარი მისამართი დაავიწყდა

გვ.3

ილია II აფხაზეთში მსოფლიო პატრიარქთან ერთად ჩავა გვ.3

პატრიარქი: „სამწუხაროდ, სამღვდელოება 17 მაისს უზრდელად მოიქცა“

ილია II-მ 17 მაისს განვითარებული მოვლენების დროს სასულიერო პირების ქცევის გამო მწუხარება გამოთქვა და საზოგადოებას სიმშვიდისკენ მოუწოდა. როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, სამღვდელოება იმ დღეს უზრდელად მოიქცა.

„რაც მოხდა 17 მაისს, ეს სამწუხაროა და ყოვლად მიუღებელია ის იდეები, რომელიც უნდათ დანერგონ საქართველოში. მაგრამ ძალიან სამწუხაროა ისიც, რომ ქართველი სამღვდელოება უზრდელად იქცეოდა და მე მინდა ყველას მოვუწოდო სიმშვიდისაკენ. არ შეიძლება შეურაცხყოფა მივაყენოთ სხვას. ბოროტებას თრგუნავს მხოლოდ სიყვარული და სიკეთე“, – ბრძანა პატრიარქმა.

ივერონი

კახა კუკავა: „ლაშა ბაქრაძეს თუ ჰკითხავთ, გეიაღლუმი თამარისა და დავითის აუხდენელი ოცნებაა“ გვ.5

გურამ ვახტანგაშვილი: „სად წავიდა აგვისტოს ომის შემდეგ გამოყოფილი 4 მილიარდი?!“ გვ.6

კახა ძაგანია: „საქართველოში სექსუალური უმცირესობების უფლებებს არავინ ლახავს“ გვ.4

საპატიმროებში სასჯელს 10.111 ბრალდებული იხდის გვ.5

გვ.3 კობა დავითაშვილი: „ჩვენ არაფრის გადაფარვა არ გვჭირდება“

გვ.2 იტალიის ვიზის მოთხოვნის პროცედურა მარტივდება, მაგრამ ძვირდება

გვ.2 პაატა ზაქარეიშვილი: „მერაბიშვილის დაკავებას ერთმანეთს ულოცავენ“

ISSN 1987-9385

5 დავით კირკიტაძე „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებას უარყოფს

2 საიამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა კანდიდატურები დაასახელა

5 გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, სააკაშვილის ვიზიტების დროს გაწეული ხარჯები გაუმართლებელია

7 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დედა აქტიური უნდა იყოს

პაატა ზაქარეიშვილი: „მერაბიშვილის დაკავებას ერთმანეთს ულოცავენ“

ნათია ხურცილავა

ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილისა და კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავების ფაქტს ევროკავშირის მაღალი რანგის დიპლომატები ეხმაურებიან. კეტრინ ეშტონი და შტეფან ფულე იმედს გამოთქვამენ, რომ სასამართლო პროცესი საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარდება.

ევროკავშირის წარმომადგენლების განცხადება ბიძინა ივანიშვილს უყურადღებოდ არ დაუტოვებია.

ივანიშვილი, კეტრინ ეშტონისა და შტეფან ფულეს ერთობლივ განცხადებას გამოეხმაურა. პრემიერი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ ის მიესალმება ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლების დაინტერესებას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესება მთავრობას პროცესების სამართლიანად წარმართვაში დაეხმარება.

– მივესალმები ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის კეთრინ ეშტონისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის შტეფან ფულეს ერთობლივ განცხადებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენელთა დაინტერესება და ყურადღება საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ. დარწმუნებული ვარ, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ყველა ზომას მიმართავენ, რათა თითოეულ საქმეზე პროცესი საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით წარიმართოს, – ნათქვამია ივანიშვილის განცხადებაში.

პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ სამართლებრივ პროცესებზე პოლიტიკური გავლენა გამორიცხულია.

– ჩვენ გამოვრიცხავთ მიმდინარე სამართლებრივ პროცესებზე პოლიტიკური ასპექტების გავლენას რაიმე ფორმით. კიდევ ერთხელ მივესალმები საერთაშორისო საზოგადოებისა და ევროკავშირის განსაკუთრებულ დაინტერესებას. მჯერა, თქვენი ასეთი ყურადღება მხოლოდ დაეხმარება საქართველოს მთავრობას პროცესების სამართლებრივად გამართულად და სამართლიანად წარმართვაში, – აღნიშნულია განცხადებაში.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი კეტრინ ეშტონი და გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე იმედს გამოთქვამენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილისა და კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ სამართალწარმოების პროცესი საერთაშორისო სტანდარტებით წარიმართება.

აღნიშნულის შესახებ ეშტონისა და ფულეს პრეს-მდივნებმა განაცხადეს.

– ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი და ევროკომისარი შტეფან ფულე ყურადღებით ეკიდებიან ინფორმაციას საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილისა და საქართველოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის, ამჟამად კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ზურაბ ჭიაბერაშვილის დაპატიმრებასა და დაკავების შესახებ. ევროკავშირი ყურადღებით დააკვირდება მათ მიმართ სამართალწარმოების პროცესს და მოელის, რომ ის სამართლიანად, გამჭვირვალედ, მიუკერძოებლად და საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით წარიმართება. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და ევროკომისარი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი მოელიან საქართველოს ხელისუფლებისგან, რომ ამ საქმეებზე, ისევე, როგორც ყველა სხვა საქმეზე, მართლმსაჯულება მიუკერძოებლად განხორციელდება და პოლიტიკურად მოტივირებული არ იქნება, – აღნიშნულია განცხადებაში.

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავების ფაქტი მინისტრთა კაბინეტის წევრებმაც შეაფასეს.

მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაკავების ფაქტს პოლიტიკასთან არავითარი საერთო არა აქვს. შესაბამისად ისინი აცხადებენ, რომ პროკურატურა სერიოზულ მტკიცებულებებს წარმოადგენს სასამართლო პროცესზე.

ენერგეტიკის მინისტრისა და ვიცე-პრემიერის კახა კალაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილისა და კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს“.

კახა კალაძე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანაბარია. ვიცე-პრემიერი ამბობს, რომ ცხრა წლის განმავლობაში იყო ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომლებისთვისაც ყველაფერი ნებადართული იყო.

– ამ ადამიანების დაკავებას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს. კანონი არის ყველასთვის ერთი. იმის მიუხედავად, თუ ვინ რა თანამდებობაზეა დღეს და ვინ რა თანამდებობაზე იყო, ყველა ვართ თანასწორუფლებიანი. მე მესმის ძალიან კარგად, რაც 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, იყო ადამიანების გარკვეული კასტა, ჯგუფი, რომელთათვისაც ყველაფერი ნებადართული იყო. შეგეძლო გაგეფუჭებინა, მოგეპარა, ბიუჯეტი გაგეძარცვა, ადამიანები მოგეკლა და თავისუფალი იყავი, არანაირი კანონი არ მოქმედებდა შენ წინააღმდეგ. ეს ყველაფერი დასრულდა, დღეს ქვეყანაში სულ სხვა გარემოებაა, – აცხადებს კალაძე.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაკავებით ხალხი აღტაცებულია.

პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მერაბიშვილის დაკავებას ადამიანები ერთმანეთს ულოცავენ.

– ხალხი აღტაცებულია და ერთმანეთს ულოცავენ. ეს არის საშინელება. ე.ი. იმდენად დიდი სიძულვილი დათესა მერაბიშვილმა საზოგადოებაში, რომ ხალხი აღარ ელოდება მტკიცებულებებს, მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიება დადებს მკაფიო მტკიცებულებებს. სამწუხაროდ, ალბათ, მტკიცებულებები იმაზე მეტი იქნება, ვიდრე ჩვენ გვგონია, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

პროკურატურის განცხადებით, ვანო მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-1, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების 7-დან 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

ასევე პროკურატურა ავრცელებს ინფორმაციას, რომ ვანო მერაბიშვილს უახლოეს მომავალში დამატებითი ბრალდება 26 მაისისა და სანდრო გირგვლიანის საქმეების გამო წარედგინება.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილთან ერთად დაკავებულ ზურაბ ჭიაბერაშვილს, პროკურატურის ცნობით, ჭიაბერაშვილი დასაქმების პროგრამის განხორციელებისას ბიუჯეტიდან უკანონოდ დახარჯული 5.2 მილიონი ლარის გამო დააკავეს.

იტალიის ვიზის მოთხოვნის პროცედურა მარტივდება, მაგრამ ძვირდება

ნათია ხურცილავა

იტალიის ელჩმა საქართველოში ფედერიკა ფავიმ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა. ელჩის პრესკონფერენციის გამართვის მიზეზი იტალიის ვიზების გამარტივებას ეხებოდა.

იტალიის ვიზის მოთხოვნის პროცედურა მარტივდება, თუმცა ძვირდება.

ამიერიდან იტალიის ვიზის მოთხოვნაზე აპლიკაციის შეტანა საკონსულოს ნაცვლად კერძო კომპანია „ვიზა მენეჯმენტ სერვისში“ მოხდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით იტალიის ელჩმა საქართველოში ფედერიკა ფავიმ და „ვიზა მენეჯმენტს სერვისის“ წარმომადგენლებმა, როგორც აღვნიშნეთ, ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც ფედერიკა ფავიმ განაცხადა, 2006 წლიდან მუდმივად იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვინც იტალიის ვიზას ითხოვს და თუ 2006 წელს 3500 მოთხოვნა იყო ვიზაზე, 2012 წელს ამ რაოდენობამ 7100-ს მიაღწია, 2013 წლის პირველ 5 თვეში კი ვიზის მოთხოვნა 116,7%-ით არის გაზრდილი.

– სამწუხაროდ, იტალიის საელჩოს არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო ზომები, რომ ამდენი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. საკონსულოში არის მხოლოდ ორი ოპერატორი. ადამიანის რესურსების გაზრდის საშუალება კრიზისიდან გამომდინარე არ გვქონდა და ეს პრობლემა ევროპის მასშტაბით 6 საელჩოში დგას. უნდა ვაღიარო, ძალიან დიდი კრიტიკა და საყვედურები მივიღეთ იმ დისკომფორტის გამო, რომელიც მოქალაქეებს ექმნებოდათ დიდი ხანის განმავლობაში რიგში დგომისა და ვადების გაზრდის გამო. რომ გაგვეიოლებინა ვიზების მოთხოვნის პროცედურა, გადავწყვიტეთ სრულიად შეგვეცვალა სისტემა და ეს მიგვენდო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საიამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა კანდიდატურები დაასახელა

ნათია ხურცილავა

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები წარადგინა.

ორგანიზაციის განცხადებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შედეგად, შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი, პროცედურები გახდა უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული, წევრობის კანდიდატების პარლამენტისთვის წარდგენის შესაძლებლობა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მიეცა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა შემდეგ კანდიდატურებს:

ნინო ბაქაქური, ზურაბ ძლიერიშვილი და კახა წიქარიშვილი. საია კანდიდატების ბიოგრაფიას ავრცელებს.

ნინო ბაქაქურს იურისტად მუშაობის 16 წლიანი და მოსამართლედ მუშაობის სამწლიანი გამოცდილება აქვს. 1998–2004 წლებში მუშაობდა საქართველოს იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტად და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიულ მრჩევლად. 2004-2008 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატისა და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლე. 2008 წლიდან დღემდე იგი მუშაობს იურიდიულ კომპანია „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორებში“ და წარმოადგენს მის ერთ-ერთ პარტნიორს.

ნინო ბაქაქურმა იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი მიიღო ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. 2002-2003 წლებში იყო ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საერთაშორისო სამართლის მკვლევარი. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო და ადვოკატურის გამოცდები, აგრეთვე, ნიუ-იორკის შტატის ადვოკატთა გამოცდა.

ნინო ბაქაქური არის ნიუ-იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციის წევრი. კითხულობს ლექციებს შედარებით საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო მართვასა და ბიზნეს სამართალში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

ზურაბ ძლიერიშვილი არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (სამართლის აკადემიური დოქტორი), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი 2009 წლიდან დღემდე, თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის არბიტრი 2009 წლიდან დღემდე; სხვადასხვა იურიდიული კომპანიების კონსულტანტი 2001 წლიდან დღემდე; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი 2004-2006წ.წ, აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება, არის მრავალი კვლევის, ნაშრომისა და სამეცნიერო სტატიის ავტორი.

კახა წიქარიშვილი 2012 წლიდან დღემდე მუშაობს გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტად, აქვს ამერიკის უნივერსიტეტის, ვაშინგტონის სამართლის კოლეჯის მაგისტრის ხარისხი, 1994-1999 წ.წ. სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, არის რამდენიმე კვლევის ავტორი, ფლობს ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ილია II აფხაზეთში მსოფლიო პატრიარქთან ერთად ჩავა

შორენა მარსაგიშვილი

ვიღაცების გულის გასახეთქად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აფხაზეთში აპირებს ჩასვლას, სადაც ის აფხაზური ეკლესიის წინამძღოლის წარდგენას აპირებს. დღევანდელი წინამძღოლი ბესარიონ აპლია ქართულ ეკლესიას არ განუკვეთია.

გასული წლის იანვარში კონსტანტინეპოლს აფხაზური ეკლესიის რამდენიმე წარმომადგენელი ეწვია. ისინი მსოფლიო პატრიარქს შეხვდნენ და აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვეს.

ასეთი მოთხოვნით უფრო ადრე გამოვიდა აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი ბესარიონ აპლია. მან საგანგებო მიმართვა გააგზავნა როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში.

ქართულმა ეკლესიამ აფხაზური ეკლესიის აღიარებაზე ბუნებრივია, უარი განაცხადა. უარი მიიღეს აფხაზებმა რუსეთისგანაც. ჩვენი პატრიარქი რუსეთის პატრიარქს მას შემდეგ რამდენჯერმე შეხვდა.

რუსული ეკლესიის წინამძღოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ცნობენ.

სხვათა შორის, რუსული ეკლესია, საერო ხელისუფლებისგან განსხვავებით, არც აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობას აღიარებს.

ამის მიუხედავად რუსული ეკლესიის წარმომადგენლები ხშირად ჩადიან აფხაზეთში. 2011 წლის მარტში რუსეთის პატრიარქმა ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის მონასტრის წინამძღოლად რუსი დანიშნა.

ამას მონასტერში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მამებმა დორთეი დბარმა და ანდრეა ამპარმა ნამდვილი ამბოხება მოაწყვეს. მათ რამდენიმე სასულიერო პირი შეუერთდა. ძალიან მალე აფხაზეთში საეკლესიო კრება ჩატარდა. დბარმა და ამპარმა დამოუკიდებელი, წმინდა მიტროპოლია შექმნეს.

ბესარიონ აპლიამ მათ მონანიებისაკენ მოუწოდა. მათ არ შეისმინეს. ამის შემდეგ მათ სასჯელი დაადეს და გარკვეული დროით უფლებამოსილება შეუჩერეს. სწორედ დბარისა და ამპარის დაჯგუფება ეახლა შარშან იანვარში მსოფლიო პატრიარქს და აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება მოსთხოვეს.

კონსტანტინეპოლი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს. გასათვალისწინებელია, რომ ამის გაკეთება მხოლოდ ქართული ეკლესიის ნებართვით შეიძლება.

საქართველოს პატრიარქი ილია II ამ დღეებში კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა. სადაც ბუნებრივია, მსოფლიო პატრიარქსაც შეხვდა. მსოფლიო პატრიარქმა აღნიშნა, რომ ისინი აფხაზეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციას აღიარებენ.

ახლო მომავალში კი ჩვენი პატრიარქი აფხაზეთში აპირებს ჩასვლას. ილია II ამის გაკეთებას 2 წლის წინაც აპირებდა. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ვიღაცებმა ეს ვიზიტი ჩაშალეს.

ახლა, ალბათ, ყველაფერი კარგად იქნება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მსოფლიო პატრიარქთან ერთად აფხაზეთში ვიზიტს გეგმავს. ამის შესახებ. ვიზიტისას სოხუმში ჩვენი პატრიარქი ქორეპისკოპოსს წარადგენს.

– ყველა მართლმადიდებლური ეკლესია და მთელი მსოფლიო აღიარებს აფხაზეთს საქართველოს ეკლესიის ნაწილად, კანონიკურ ნაწილად. ამას აღიარებს ყველა და ამიტომაც ყველა საკითხი, რომელიც არსებობს აფხაზეთში, აუცილებლად უნდა განიხილოს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და მისმა სინოდმა. ჩვენ შევთანხმდით, ქართული ეკლესია ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ სასულერო პირები ჩავიდნენ იქ. მე ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტი ვარ და მეც უნდა ჩავიდე იქ სიტუაციის დამშვიდების მიზანი, – აღნიშნა პატრიარქმა.

მისი თქმით, მათ ამ საკითხში მსოფლიო პატრიარქი დაეხმარებათ. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი პატრიარქის ვიზიტი აფხაზეთში წარმატებული იქნება.

ილია II აფხაზეთში შესაძლო ჩასვლას აფხაზეთში დიდი წივილ-კივილი ჯერ არ მოჰყოლია. შესაძლოა აქ უკვე გაანცობიერეს, რომ მათ ეკლესიას ძალიან უჭირს და მიხედვა სჭირდება. როგორც უკვე ვთქვით, აფხაზური ეკლესია ორად არის გახლეჩილი. აქაური ტაძრების დიდ ნაწილში წირვა-ლოცვა არც კი აღევლინება. სამაგიეროდ ნელა-ნელა ძლიერდება ისლამი და როგორც ამბობენ, ვაჰაბიტებმაც კარგად მოიკიდეს ფეხი.

ვანო მერაბიშვილს სასამართლოზე საკუთარი მისამართი დაავიწყდა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ნიკოლოზობაზე მეტად ვანო მერაბიშვილის დაკავებას ზეიმობდა. მოზეიმეთა რიგებში, ბუნებრივია, არ შედიოდნენ ნაციონალები. მათ ჯერ კიდევ 21 მაისს განაცხადეს, რომ მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე გადავიდოდნენ. ნაციონალების ლიდერების მნიშვნელოვანი ნაწილი ქუთაისში წავიდა. სწორედ ქუთაისში გაიმართა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი.

ნაციონალების გარდა ქუთაისში ყოფილი პოლიტპატიმრებიც წავიდნენ. ისინი დილიდანვე ქუთაისის საოლქო სასამართლოსთან გამაგრდნენ. მათ თან ცოცხებიც ჰქონდა წამოღებული. აქცია ქუთაისის წინასწარი დაკავების იზოლატორთანაც მიმდინარეობდა. იქ ნაცმოძელები იყვნენ შეკრებილი.

საოლქო სასამართლოსთან შეკრებილები საკმაოდ აგრესიულად იყვნენ განწყობილი. ნაციონალები მიხვდნენ, რომ სასამართლოზე შესვლა გაუჭირდებოდათ. ამიტომაც დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ ქვეყნის შს მინისტრს მიმართა და სთხოვა, იქნებ ახლა მაინც გაგვიკეთო დერეფნებიო.

საგანგებო ბრიფინგი გამართა გოკა გაბაშვილმაც. მან შს მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს მოუწოდა, ქუთაისის სასამართლოსთან უსაფრთხოების ზომები მიეღოთ.

– ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ გარდა ამ გადაწყვეტილებისა, მიღებულია კიდევ ერთი გადაწყვეტილება, როგორც ჩანს. ეს არის ამ სასამართლოს გამოყენება ძალადობისთვის. ამისთვის ქუთაისში ჩამოიყვანეს კაკაბაძე-ვაჩნაძის ჯგუფი. ისინი იმყოფებიან სასამართლოსთან. რა თქმა უნდა, სასამართლოში მისვლას ვაპირებთ ჩვენც, ჭიაბერაშვილის და მერაბიშვილის მეგობრები და თანამებრძოლები, ის ადამიანები, ვინც მათ მხარს ვუჭერთ და როგორც ყოველთვის, ამ დროისთვის არანაირი ზომა არ არის მიღებული, რომ ამ ძალადობრივმა ჯგუფმა არ გაიმეოროს იგივე, რაც მოხდა 8 თებერვალს. შესაბამისად, ამის საფრთხე არის მაღალი. მე მინდა ვუთხრა ივანიშვილს და ღარიბაშვილს, იმისათვის, რომ შემდგომ არ მოუწიოთ თავის მართლება ნახატი ფილმებით და მულტფილმებით, სასწრაფოდ მიიღონ ზომები, რადგან ახლავე ვაცხადებთ, რომ სასამართლოსთან მივალთ მშვიდობიანად და ვაფრთხილებთ ყველას, თუ მეორე მხრიდან განხორციელდება ძალადობა, ეს იქნება ერთადერთი ადამიანის ბრალი ქვეყანაში, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის და შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის. მოვუწოდებ მათ, შესაძლო ძალადობა აღკვეთონ, – განაცხადა გუშინ დილით გაბაშვილმა.

განცხადება გააკეთა დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმაც. მისი განცხადებით,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

კობა დავითაშვილი: „ჩვენ არაფრის გადაფარვა არ გვჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატ კობა დავითაშვილს ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის დაკავება დიდ ტრაგედიად არ მიაჩნია. დავითაშვილი იმით არის უკმაყოფილო, ნამინისტრალ მერაბიშვილს 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის გულისთვისაც რომ არ წაუყენეს ბრალი.

– მე მაინტერესებს, რატომ არ არის მერაბიშვილის საქმეში 7 ნოემბრის ხსენება. მარაბიშვილის ბოროტების დიდი ნაწილი, სწორედ ამ დღეს მოხდა, მან აქციის დასაშლელად რეზინის ტყვიები გამოიყენა, რაც კანონით აკრძალულია. ეს არის ხელისუფლების გადამეტება, ამ საქმეს გამოძიებაც არ სჭირდება, უკვე დამდგარი ფაქტია, ამიტომ მაინტერესებს, რატომ არ შედის მერაბიშვილის ბრალში 7 ნოემბერი. იმედია, მთავარი პროკურორი გააკეთებს განმარტებას – 7 ნოემბერი საერთოდ წაშლილია საქართველოს უახლესი ისტორიიდან? – განაცხადა დავითაშვილმა.

დეპუტატმა გაიხსენა მაშინ გავრცელებული აუდიოჩანაწერებიც. რომლის მიხედვითაც მერაბიშვილი აზერბაიჯანელ კოლეგას ცრემლსადენი გაზის მიწოდებას სთხოვს.

2007 წლის 7 ნოემბერს კობა დავითაშვილიც მძიმედ დაშავდა. რუსთაველზე აქციის დაშლის შემდეგ გადაწყდა, რომ ოპოზიცია აქციას რიყეზე გამართავდა. დავითაშვილი ელიავას ბაზრობაზე წავიდა ხმის გამაძლიერებელი აპარატურის შესაძენად.

სწორედ ელიავას ბაზრობიდან გაიტაცეს დავითაშვილი ზონდერებმა. სასტიკად სცემეს და მომაკვდავი გორის სამხედრო ჰოსპიტალში მიიყვანეს. კარგა ხანს მის პოვნას ვერავინ ახერხებდა. სხვათა შორის, არც ეს საქმეა გამოძიებული.

მერაბიშვილის დაკავებას უკვე ბევრი ვინმე გამოეხმაურა. ზოგმა ის იულია ტიმოშენკოსაც კი შეადარა. წლების მანძილზე ბედკრული ტიმოშენკო უკრაინის პრემიერი იყო და საპრეზიდენტო არჩევნებშიც იღებდა მონაწილეობას. ალბათ გახსოვთ ის არჩევნები. სააკაშვილმა 1000 რჩეული ზონდერი რომ გააგზავნა იულიას დასახმარებლად უკრაინას. საიდანც ჩვენი კუნთმაგარი მუტრუკები კიდევ უფრო კუნთმაგარმა უკრაინელებმა დაიფრინეს.

გავრცელებული ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვანო მერაბიშვილიც აპირებდა. თავისი კანდიდატურის დასახელებას ის 19 აპრილს რუსთაველზე გამართულ აქციაზე გეგმავდა. იმ დღეს ეს ამბავი, როგორც ამბობენ, სააკაშვილმა ჩაშალა. პრეზიდენტი ვანოს მოწყობილ აქციაზე მოულოდნელად მოვარდა. სიტყვითაც გამოვიდა. მისი გამოსვლის დროს მერაბიშვილმა იქაურობა დატოვა.

ამის შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი ჩატარდებოდა. პრაიმერის ჩატარება მაისის ბოლოსთვის იგეგმება. ამ დროისთვის მხოლოდ გია ბარამიძის და ზურაბ ჯაფარიძის კანდიდატურებია დასახელებული.

კობა დავითაშვილისთვის არაფერს არ ნიშნავს, რომ ვანო მერაბიშვილი ნაციონალების შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატია.

– ნაციონალებში ვისაც ვიცნობ, ყველა პრეზიდენტობოს კანდიდატია, ეს, ალბათ, დაცვის მექანიზმია და ამის გამო მართლმსაჯულება ვეღარ უნდა აღსრულდეს? სასამართლო ყველაფერს გაარკვევს, თუმცა მე ნებისმიერი პირის მიმართ გირაოს გამოყენების წინააღმდეგი ვარ, – აღნიშნა დეპუტატმა.

ნაციონალების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის დაჭერა 17 მაისის მოვლენების გადასაფარად დასჭირდა. დავითაშვილს ეს შეფასება სასაცილოდ მიაჩნია.

– ღარიბაშვილს კომპლიმენტებით არასდროს ვანებივრებ, მაგრამ მჯერა, რომ იმ დღეს შსს-მ და სამართალდამცველებმა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. იქ ისეთი აგრესია იყო, რომ თავისუფლად შეიძლებოდა, ვინმე მოეკლათ. გადასაფარი აქვს ხელისუფლებას, რომელიც რამეს აშავებს. ამ შემთხვევაში კი ხელისუფლებამ რა დაუშავა? მიმაჩნია, რომ 17 მაისის მოვლენები გამოძიებული უნდა იყოს, ამბობს დეპუტატი.

ის სააკაშვილის განცხადებასაც გამოეხმაურა. პრეზიდენტმა, მოგეხსენებათ, დაგმო 17 მაისის დარბევა. ამასთან, მან მიუღებლად მიიჩნია რუსთაველის გამზირზე ლგბტ პირების მიერ აქციის ჩატარება. სააკაშვილის თქმით, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგანაც იმ ადგილას წინა დღეს ავღანეთში დაღუპული ქართველი მებრძოლების სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა.

პრეზიდენტის ამ შეფასებამ ნაცმოძი შოკში ჩააგდო. მათი უმეტესობა ხმამაღლა კომენტარების გაკეთებას ერიდება. გულში კი ყველანი გმობენ მის შეფასებას.

დავითაშვილის განცხადებით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, ორივე საზოგადოებრივ აზრს კოჭი გაუგოროს.

– კარგად ხვდებით, რასაც ცდილობს სააკაშვილი. ის ცდილობს, კოჭი გაუგოროს ორივე საზოგადოებრივ აზრს. ეს მისი დამახასიათებელი სტილია. ტყუილი და თაღლითობა. ვითომ ემიჯნება იმ პარადს, რომელიც მისი პოლიტიკური ძალის მიერ იყო ორგანიზებული, – განაცხადა დავითაშვილმა.

დეპუტატის ამტკიცებს, რომ მისთვის საინტერესო არ არის ემიჯნება თუ არა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე პრეზიდენტის ამ განცხადებას.

– არ მაინტერესებს გაემიჯნა თუ არა ბაქრაძე ან სხვა მის განცხადებებს, როცა გემი იძირება, ვირთხები გარბიან, – აღნიშნა დავითაშვილმა.

მიმდინარე წელს 86.189 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, მიმდინარე წელს დაგეგმილი გაზიფიცირების პროგრამის შესახებ, გუშინ პრესკონფერენცია გამართა. მინისტრის თქმით, ენერგეტიკის სამინისტროსა და გაზგამანაწილებელი კომპანიების მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, საქართველოს მასშტაბით, 2013 წლის ბოლომდე, 86 ათასზე მეტი ოჯახი გაზიფიცირდება. გეგმის განხორციელების შემდეგ, გაზიფიცირებული იქნება დამატებით 252 სოფელი.

ახალი ინფრასტრუქტურის შექმნაში კი, ათობით მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება. გაზიფიცირების სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგს თავად სამინისტრო განახორციელებს. 2013 წელს დაგეგმილია სულ 86 189 აბონენტის გაზიფიცირება. რეგიონების მიხედვით აბონენტების გაზიფიცირება შემდეგნაირად გადანაწილდება: აჭარა – 2450 აბონენტი, გურია – 4545 აბონენტი, იმერეთი – 25 428 აბონენტი, კახეთი – 6579 აბონენტი, მცხეთა-მთიანეთი – 3671 აბონენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 17 277 აბონენტი, სამცხე-ჯავახეთი – 9782 აბონენტი, ქვემო ქართლი – 9868 აბონენტი, შიდა ქართლი – 6589 აბონენტი.

ნიუსპრესი

კახა ძაგანია: „საქართველოში სექსუალური უმცირესობების უფლებებს არავინ ლახავს“

შორენა კოწოწაშვილი

მემარცხენე ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი კახა ძაგანია 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას უმრავლესობას აკისრებს და აქციის ორგანიზებაში ნაცმოძრაობისა და გარკვეული უცხოური ორგანიზაციების ინტერესებს ხედავს. ყოფილი დეპუტატი დარწმუნებულია, რომ მსგავსი აქციებით შავი ფული ირეცხება და ამ ყველაფერს ნაცმოძრაობა ეკლესიის დისკრედიტებისთვის იყენებს. გაართვა თუ არა ღარიბაშვილის უწყებამ მრავალათასიან აქციას თავი და საჭიროებს თუ არა კანონმდებლობა დახვეწას იმავე სექსუალური უმცირესობის კუთხით, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერ კახა ძაგანიასთან.

— ბატონო კახა, ფაქტია, ჰომოფობიის დღის აღსანიშნავად გამოსულ მცირერიცხოვან ჯგუფს საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი მოჰყვა, რაშიც სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. უფლებადამცველების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ აგრესია მიუღებელია, მით უმეტეს, თუ ეს სასულიერო პირების მხრიდან არის მხადაჭერილი..

— რაც შეეხება 17 მაისის აქციას, ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი ორგანიზატორების მიმართ, რომლებიც თითქოს პატარა ჯგუფის ინტერესებს იცავდნენ, რომელიც აშკარად ხელოვნურადაა შექმნილი. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ფინანსდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ჩემი ვარაუდით, ეს აქცია ორგანიზებული იყო ნაციონალების მიერ. ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს პოლიტიკოსებს ეძახიან, ამ აქციაზე პირდაპირ ორგანიზატორებად იყვნენ წარმოჩენილი. აქციაზე იყვნენ ან თავად ისინი ან მათი მეუღლეები და ახლობლები. ისინი ისეთი მიუღებელი საკითხების დამცველებად გვევლინებოდნენ, რაც აშკარად ჰომოსექსუალიზმის დაცვა იყო. მე აგრეთვე გავაკრიტიკებ ხელისუფლების პოზიციას. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ უმრავლესობას უნდოდა, გაეკრიტიკებინა ამ პატარა ჯგუფის აქცია, მაგრამ ვიღაცისა და რაღაცის გამო თავს იკავებდნენ. ნათქვამია: ,,გაბზარულს გატეხილი სჯობიაო“ და მოვუწოდებ უმრავლესობის წევრებს, შეფასებები ღიად გააკეთონ და 17 მაისის საკითხი ღიად გადაჭრან. 17 მაისის აქციაში ის იყო ჩადებული, რომ თუნდაც სამომავლოდ ამ კუთხით საქართველოში შეიქმნას პრობლემები. ხელისუფლების შუალედური პოზიციები ამ საკითხის გარდა სამართლიანობის აღდგენის საკითხშიც იკვეთება. ,,ქართული ოცნების“ წევრებს შევახსენებდი, რომ ასეთი შუალედური პოზიცია ქვეყნისთვის დამღუპველია. მოვუწოდებ ხელისუფლებას, იყოს კანონის დამცველი და ნუ იქნება ვიღაცების შემყურე. ყველა დამნაშავეს შესაბამისად უნდა მიეზღოს, რასაც ის იმსახურებს.

— უფლებადამცვლეთა ერთი ნაწილის აზრით, სასულიერო პირები უნდა დაისაჯონ იმ აგრესიისთვის, რომელიც აქციაზე დაფიქსირდა. ობიექტური შეფასებები ისმის სასულიერო პირების მიმართ?

— უმცირესობის წარმომადგენელთა მიზანიც ეს იყო, რომ ეკლესიისთვის მიეყენებინათ დარტყმა, შესაბამისად სახელმწიფოსთვის მიეყენებინათ დარტყმა. სახელმწიფოს მთავარი ხერხემალი, როგორც საპატრიარქო ამბობდა, მერაბიშვილი კი არ არის, ამ ქვეყნის მთავარი საყრდენი არის დედა ეკლესია. ამას ხალხი კარგად აცნობიერებს, ამის კარგი სამართლებრივი საფუძველია კონკორდატი, რომელიც გაფორმებულია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. მსგავსი კონკორდატი იშვიათობას წარმოადგენს სხვა ქვეყნებში და ამას დაფასება სჭირდება. ამ მცირე ჯგუფებმა შედეგს მიაღწიეს იმ კუთხით, რომ ტელევიზიებით აქტიურად დაიწყეს სასულიერო პირების კრიტიკა. გავიხსენებთ პატრიარქის ერთ-ერთ ქადაგებას, სადაც მან ბრძანა, რომ ძალიან კრიტიკულები ნუ იქნებით მამაოების მიმართ, რადგანაც ისინიც ადამიანები არიან. ასე მოგვიწოდა უწმიდესმა მთელ ქართველ ხალხს, ამიტომ სანამ ვინმეს ქვას ვესროდეთ, ჯერ საკუთარ თავში ჩავიხედოთ.

— მაინც რატომ ფიქრობენ, რომ ილახება საქართველოში სექსუალური უმცირესობის უფლებები?

— მათი უფლებები საქართველოში ნამდვილად არ ირღვევა, უბრალოდ ამის ასე წარმოჩენა უნდათ იმ უდიდესი გამოცდილების პოლიტიკოსებს, რომლებიც ასეთ პატარა ჯგუფებს ქვეყნის გარედან მართავენ. მსგავსი აქციების რეალური ორგანიზატორები არიან უცხოეთში. მათ მსგავსი აქციების ძალიან ,,კარგი“ გამოცდილება აქვთ და ზუსტად არჩევენ ადგილს, სად ჩაატარონ, რათა მათთვის სასურველი შედეგი დადგეს. ყოველთვის ცდილობენ უფრო მძაფრად წარმოაჩინონ ვითარება, რათა უფრო მეტი გამოხმაურება მოჰყვეს. ძალიან ბევრი ინსტიტუტია მსოფლიოში, რომელიც მზად არის, არაერთ ქვეყანაში დააფინანსოს მსგავსი აქცია. მათთვის ეს სასარგებლოა, ერთი მხრივ, იმ კუთხით, რომ ამ გზით ფულს ათეთრებენ, მეორე — პირდაპირი დავალება აქვთ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში გამართონ გარყვნილების დამცველი აქციები. ამ შემთხვევაში ნაცმოძრაობის ინტერესები და იმ უცხო ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და შესაბამისად ამ მცირე ჯგუფის აქციაც შედგა. მათ უნდოდათ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ზიანი მიეყენებინათ და ამით მოსახლეობის უმეტესობისთვის დაერტყათ. არიან ჯგუფები დასავლეთში, რომლებიც საქართველოში ვითომ ლიბერალური შეხედულებების ეგიდით ფულსაც ათეთრებენ და თან ურტყამენ ქართულ სახელმწიფოებრიობას.

— სასულიერო პირების კომენტარებშიც დაახლოებით ასეთი პოზიცია დაფიქსირდა, რომ მათ გარყვნილების მქადაგებელთა ხელმძღვანელებს ეკლესიის ძალა დაანახვეს. როგორ ფიქრობთ, ეს დაპირისპირება გაგრძელდება?

— თუ ხელისუფლება, კარგი გაგებით, არ ჩაერევა, და თავის თავზე არ აიღებს ამ პერობლემის მოგვარების საკითხებს, რა თქმა უნდა, ეს პროტესტი შეიძლება გადაიზარდოს ისეთ უმართავ ფაზაში, რომლის შემოტრიალებაც ძალიან რთული იქნება. ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას, ნუ დაიჭერს შუალედურ პოზიციას. დაიცვას კანონი და ყველა პრობლემა მოგვარდება. თან უმრავლესობას თავისუფლად შეუძლია კანონში ცვლილებები შეიტანოს და აკრძალოს ამგვარი სიმახინჯეების გამართვა რუსთაველზე. გარყვნილების ყოველგვარი პროპაგანდა უნდა იყოს აკრძალული.

— როგორ ფიქრობთ, გაართვა თუ არა თავი ღარიბაშვილის უწყებამ 17 მაისის აქციას და ობიექტურია თუ არა კრიტიკა, რომელიც პოლიციის მისამართით ისმის?

— აქ მე ცალკე აღებული არ მინდა გამოვყო პოლიცია. ჩემი აზრით, ცუდად მოიქცა პოლიცია 1 მაისს, როდესაც დაარბია მშვიდობიანი აქცია, რომელსაც მემარცხენე ახალგაზრდები ატარებდნენ. რაც შეეხება იმას, რაც 17 მაისს რუსთაველზე მოხდა, ამ დღეს მოვლენების შეფასებისას არ მინდა პოლიცია ცალკე გამოვყო. მიმაჩნია, რომ ამ დღეზე პასუხისმგებლობა მთლიანად მინისტრთა კაბინეტმა უნდა აიღოს. 17 მაისი იყო არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ უმრავლესობისა და მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობა.

ვანო მერაბიშვილს სასამართლოზე საკუთარი მისამართი დაავიწყდა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

„პრემიერსა და შს მინისტრს დღის წესრიგს ნანა კაკაბაძე და მელორ ვაჩნაძე უდგენენ“.

— ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა, რომ ძალადობა იქცა ყოველდღიურ მოვლენად. სამწუხაროა, რომ ნანა კაკაბაძის და მელორ ვაჩნაძის ჯგუფი უდგენს დღის წესრიგს პრემიერ-მინისტრს და შინაგან საქმეთა მინისტრს. დღეს მეორდება იგივე, რაც 8 თებერვალს, ახლაც გეგმავენ ძალადობის აქციას. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ სასამართლო პროცესზე, სადაც ჩვენს მეგობრებს ასამართლებენ, „ნაციონალური მოძრაობა“ აუცილებლად მივა. ეს იმ აუცილებლობითაც არის ნაკარნახევი, რომ ძალიან ბევრი დეპუტატი თავდებში ვართ ჩამდგარი, რომ ეს ადამიანები გაათავისუფლონ. თვითონ სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს იმას, რომ ჩვენ ამ პროცესს უშუალოდ ვესწრებოდეთ. მინდა, მივმართო შს მინისტრს და პრემიერ-მინისტრს, თუ ამ ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება არ არის მელორ ვაჩნაძე და ნანა კაკაბაძე, რომელმაც ერთხელ უკვე არია საქართველო და სამოქალაქო ომში ჩაითრია, ჩვენ ვითხოვთ, რომ გადამჭრელი ზომები იყოს მიღებული. ჩვენ არ გვინდა არანაირი არეულობა, ძალადობა, ამიტომ ვაკეთებთ ამ განცხადებას პრევენციისთვის და მივმართავთ ხელისუფლებას, თავისი მოვალეობა შეასრულოს და წესრიგი უზრუნველყოს, — აღნიშნა ნადირაშვილმა.

ქუთაისის სასამართლოსთან საკმაოდ დიდი რაოდენობით მივიდნენ პოლიციელები. თვალშისაცემი იყო მედიის სიჭარბეც. ვითარება საკმაოდ დაძაბული გახლდათ. პოლიციას საკმაოდ დიდი ჯაფა დაადგა. ყოფილი პოლიტპატიმრები ძალიან აგრესიულები იყვნენ.

— მე და ჩემი მეგობრები წლების მანძილზე ვებრძოდით მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს, რომელსაც ჰყავდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯალათი ვანო მერაბიშვილი, რომელმაც შექმნა პოლიტიკური პოლიცია და რომელიც შიშის სინდრომს ნერგავდა ქუჩებში. მათ ჩემი თაობის უამრავი ახალგაზრდა ჩახოცეს. ივანე მერაბიშვილი პირადად შეგვეხო, ციხეებში გაგვამწესა, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ ვართ ის ადამიანები, ვისაც უხარია ვიღაცის უბედურება. თუმცა ძალიან გვიხარია ის, რომ სამართლიანობა ზეიმობს, კარგია, როდესაც პოლიცია და პროკურატურა ასრულებს კანონს და კანონის წინაშე ყველა თანაბარია, — განუცხადა „ნეტგაზეთს“ ყოფილმა პოლიტპატიმარმა მელორ ვაჩნაძემ.

ყოფილი პოლიტპატიმრების გარდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთან იმყოფებიან პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებიც:

— ჩვენი აქ მოსვლის მიზეზი არის ისეთივე, როგორიც ამ მოქალაქეების, ვინც აქ შეიკრიბა. გვინდა ვნახოთ ბატონ მერაბიშვილის მიმართ სამართლის აღსრულება, ველოდებით სასამართლოს ადეკვატურ გადაწყვეტილებას იმ დანაშაულებების წინააღმდეგ, რომელიც მერაბიშვილს წლების მანძილზე აქვს ჩადენილი, — განუცხადა „ნეტგაზეთს“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო მანჯავიძემ.

ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებმა თავი ქუთაისის პარლამენტის შენობასთან მოიყარეს. საიდანაც ერთად გამოემართნენ საქალაქო სასამართლოს შენობისკენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სასამართლო მერაბიშვილსა და ჭიაბერაშვილს გაამართლებდა.

ჭიაბერაშვილისა და მერაბიშვილის სასამართლო პროცესს მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა. სპეციალურ ბრიფინგზე პრეზიდენტმა მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის ღვაწლზე ისაუბრა.

— ახალაიას სასამართლო პროცესებმა დაგვანახა ყველას, რომ კონკრეტული ქმედებები ჩიხში შედის. დღეს ჩვენ ვასამართლებთ საქართველოს თანამედროვე ისტორიას. მერაბიშვილი არის ზურასთან ერთად ამ წარმატებული სახელმწიფოებრიობის შემქმნელი. ჩვენთვის მერაბიშვილის სახელი ასოცირებულია წესრიგთან, სიმშვიდესთან და სტაბილურობასთან. უცხო ქვეყნის ლიდერები გვთხოვდნენ პოლიციის რეფორმის გადაღებას. დღეს რომ მერაბიშვილს მის მიერ შექმნილი პოლიცია ხელბორკილით დაატარებს, ისტორიული ირონიის გამოხატულებაა. ჩვენ ვასამართლებთ ჩვენს დემოკრატიას. ხელისუფლების გადაცემა საშიში ყოფილა, რადგან მას მოჰყვა შური, ღვარძლი და შურისძიება. ნაცვლად იმისა, ეს დემოკრატიისთვის გამოგვეყენებინა მივიღეთ საპირისპირო რამ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გარშემო კი ვითარება იძაბებოდა. პოლიციამ დეპუტატები შენობაში ცოცხალი ჯაჭვის გამოყენებით შეიყვანა. მერაბიშვილის გამოჩენას ისინი ტაშით შეხვდნენ. ისიც და ჭიაბერაშვილი თავს მხნედ გრძნობდნენ. თუმცა მერე მერაბიშვილი ოდნავ დაიბნა.

მოსამართლემ ყოფილ პრემიერს უთხრა, დაესახელებინა მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი სახლის მისამართი, რაც ბრალდებულმა ვერ გაიხსენა და დარბაზში მყოფმა უმცირესობის დეპუტატებმა „უკარნახეს“ — პეტრიაშვილის ქუჩა №27, რომელიც ბიზნესმენ გიორგი კორახაშვილს ეკუთვნის, მაგრამ იქ მერაბიშვილი ცხოვრობს.

საქართველოს პროკურატურა ვანო მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პროკურატურის მოთხოვნის შუამდგომლობას რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებს.

„ნეტგაზეთის“ ცნობით, პროკურორის განცხადებით, მერაბიშვილს საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით აქვს ფართო კავშირები და შეუძლია, მკაცრი სასჯელის შიშით დატოვოს ქვეყანა. ბრალდების მხარეს ამის არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ მერაბიშვილი ქვეყნიდან გადიოდა დუბლირებული პასპორტით, ასევე, აქვს დიპლომატიური პასპორტი, ბოლო პერიოდში არაერთხელ იყო გასული ქვეყნიდან:

პროკურორის თქმით, მერაბიშვილის ცოლმა, თაკო სალაყაიამ 21 მაისს, მას შემდეგ, რაც მერაბიშვილს უწყება ჩაბარდა პროკურატურიდან დაკითხვის თაობაზე, ქვეყანა დატოვა:

— მისი სახლიდან ამოღებული იქნა ფული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, — განაცხადა სასამართლო პროცესზე პროკურორმა. ამას გარდა, პროკურორმა მიუთითა, რომ მერაბიშვილს შეუძლია მოწმეებზე ზეწოლის მოხდენა.

სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ ვანო მერაბიშვილის მეუღლემ თაკო სალაყაიამ საქართველო დატოვა. ის სამშობლოდან 21 მაისს წავიდა.

იტალიის ვიზის მოთხოვნის პროცედურა მარტივდება, მაგრამ ძვირდება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გარე კომპანიაზე. ეს კომპანია გახლავთ „ვიზა მენეჯმენტ სერვისი“, რომელსაც ოფისები აქვს რუსეთში, უკრაინასა და უკვე საქართველოშიც. შედეგად, ვიზის მოთხოვნის აპლიკაციის შეტანა გამარტივდა, მოლოდინის რიგები აღარ იქნება და ეს შესაძლებელი გახდება ერთ თვეში. აქ განლაგებულია 17 ფანჯარა, არის ბავშვებისთვის ცალკე სივრცე და ბევრად კომფორტული გარემოა შექმნილი, ვიდრე საკონსულოში იყო. რაც შეეხება ვიზის გაცემაზე ნებართვას, ამ გადაწყვეტილებას ექსკლუზიურად კვლავ საელჩო იღებს. ეს ოფისი კი ემსახურება მხოლოდ აპლიკაციის მიღებას. ასევე მინდა გითხრათ, რომ ვიზის მოსაკრებელი არ შეცვლილა. შენგენის ვიზის ფასი კვლავ 35 ევროა, ეროვნული ვიზა კი 116 ევრო და ამას ემატება ამ ორგანიზაციის, „ვიზა მენეჯმენტს სერვისის“ მომსახურების მოსაკრებელი 63 ლარის ოდენობით, — განაცხადა ფედერიკა ფავიმ.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ კერძო კომპანიის მოსაკრებლის გადახდა მოუწევთ იმ კატეგორიის ადამიანებსაც, რომლებიც ვიზის მოსაკრებლით გათავისუფლებული არიან.

უკრაინასა და რუსეთში, სადაც „ვიზა მენეჯმენტ სერვისი“ მოღვაწეობს, მათი მომსახურების გადასახადი 18 ევროა, კომპანიის წარმომადგენელმა ჯენარო ბერტოლიმ ეს სუფთა ეკონომიკური გათვლებით ახსნა და აღნიშნა, რომ მაგალითად, უკრაინაში ვიზას გაცილებით მეტი ადამიანი ითხოვს, ვიდრე საქართველოში.

— „ვიზა მენეჯმენტ სერვისში“ ვიზის მოთხოვნის შესახებ აპლიკაციის შეტანის თარიღის დანიშვნა შესაძლებელია როგორც ქოლ-ცენტრის — 2 43 00 59, ისე ვებგვერდის მეშვეობით, რის შემდეგაც მოქალაქე მის მიერვე შერჩეულ დღეს კომპანიაში აბარებს საბუთებს ვიზის მოთხოვნის საფუძველზე, თავად საელჩოს კი ნებართვის გაცემის ან არ გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის 10-დღიანი ვადა აქვს.

რაც შეეხება იმას, შერჩეული იქნა თუ არა „ვიზა მენეჯმენტ სერვისი“ ტენდერის საფუძველზე, ფედერიკა ფავის თქმით, საელჩო არ არის ქართული უწყება, რომელიც ვალდებულია ტენდერი გამოაცხადოს.

მიუხედავად ამისა, ტენდერი გამოცხადებული იყო, განაცხადი ორმა კომპანიამ შეიტანა და ერთ-ერთმა მათგანმა გაიმარჯვა.

იტალიის ელჩი აცხადებს, რომ „ვიზა მენეჯმენტ სერვისი“ არის ერთადერთი კერძო კომპანია, რომელსაც ურთიერთობა აქვს საელჩოსთან და მოქალაქეებს მოუწოდებს, არ მიმართონ სხვადასხვა სააგენტოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მათ სხვადასხვა გზით დოკუმენტაციის შედგენას სთავაზობენ და ათასობით ევროს ოდენობის თანხას იღებენ სანაცვლოდ.

იტალიის ელჩის თქმით, ეს უკანონო გზაა და ამ შემთხვევაში მოქალაქეებმა სამართალდამცველებს უნდა მიმართონ.

საქართველოში იტალიის ელჩის ფედერიკა ფავის განცხადებით, იტალიაში წასვლის მსურველებს ვიზების მოთხოვნის შეცვლილი და გამარტივებული პროცედურის გავლა მოუწევთ. რაც ელჩის განცხადებით, ვიზის მიღებისას წარმოქმნილ რიგებს შეამცირებს. მოთხოვნის აპლიკაციის შეტანა ერთ თვეში იქნება შესაძლებელი.

იტალიაში წასვლის მსურველებს მხოლოდ ამ კომპანიის მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ. ფედერიკა ფავის განცხადებით, თუ მოქალაქეს კომპანიის მომსახურების გადასახდელად 63 ლარი არ აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური არაა.

კერძო კომპანია ვიზების გაცემაზე საქართველოს მოქალაქეებს 29 აპრილიდან ემსახურება.

იტალიის ელჩის განცხადებით, იტალიის ვიზის მსურველი 10 დღის განმავლობაში უნდა დაელოდოს იტალიის საელჩოს გადაწყვეტილებას, რომლის პრეროგატივაცაა, მოქალაქე მიიღებს თუ არა იტალიაში გამგზავრების ნებართვას.

ქრთამის აღების ფაქტზე იაკობ გოგებაშვილის მუზეუმის დირექტორი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, იაკობ გოგებაშვილის სახლ – მუზეუმის დირექტორი, მიხეილ გოგებაშვილი და მოქალაქე აკაკი მაისურაძე დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ მიხეილ გოგებაშვილმა, ყალბი ცნობის და ყალბი ხელშეკრულების დამზადების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 750 ლარი აიღო. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

საპატიმროებში სასჯელს 10.111 ბრალდებული იხდის

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 21 მაისის მდგომარეობით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სულ 10 111 ბრალდებული და მსჯავრდებული იყო განთავსებული, რაც 2012 წლის 21 მაისის მაჩვენებელთან (23 646) შედარებით, 13 535 (57.2%-ით) ერთეულით ნაკლებია.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან, კიდევ 1 ბრალდებული გათავისუფლდა .

მთლიანად კი, 21 მაისის მონაცემებითვე, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 8 694-მა ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთა შორის 175 – პოლიტპატიმარია, 428 – მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 25 – არასრულწლოვანი.

ნიუსპრესი

დავით კირკიტაძე „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებას უარყოფს

შიდა ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ, სამხარეო ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე განცხადება გაავრცელა. კირკიტაძის განცხადებით, ხმები იმის შესახებ, თითქოს მან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა, – სიცრუეა.

„საინფორმაციო საშუალებებით გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მე, დავით კირკიტაძემ თანამდებობა დავტოვე და „ნაციონალურ მოძრაობას“ გავემიჯნე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაარსების დღიდან, ვარ ამ პოლიტიკური გაერთიანების წევრი, ასევე ვიზიარებ ახლად შექმნილი ეროვნული მოძრაობის მიზნებსა და სტრატეგიას. მიმაჩნია, რომ დღეს პირადი წყენის და სხვა მიზეზით, „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვება არის სისუსტე და ღალატი არა მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანებისა, არამედ იმ იდეალებისა, რომელსაც ჩვენ წლებია ვემსახურებით. ჩემთვის, ისევე როგორც, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა და მომხრეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, ნათელია, რომ ევროკავშირში და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება ჩვენი ქვეყნისათვის ერთადერთი შანსია, რათა საქართველომ თავისუფლება საბოლოოდ მოიპოვოს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის არაერთმა პატრიოტმა შესწირა თავი“– აცხადებს კირკიტაძე.

ნიუსპრესი

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, სააკაშვილის ვიზიტების დროს გაწეული ხარჯები გაუმართლებელია

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 15 მაისიდან 22 მაისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა, მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში ვიზიტების დროს გაწეულ ხარჯებს გაუმართლებლად მიიჩნევს.

კითხვაზე – „ თქვენი აზრით, გამართლებულია თუ არა ის ხარჯები, რაც მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში ვიზიტების დროს იხარჯება,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 65,2 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, 26,1 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა კი, გამოკითხულთა 8,7 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

კახა კუკავა: „ლაშა ბაქრაძეს თუ ჰკითხავთ, გეიაღლუმი თამარისა და დავითის აუხდენელი ოცნებაა“

ვანო მერაბიშვილს დაახლოებით 400-მდე ისეთ დანაშაულში ედება ბრალი, რომელთაგან ნახევარი ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ, თუ ამ ქვეყანაზე საერთოდ არსებობს სამართლის ერთი ბეწო მარცვალი მაინც, რა თქმა უნდა, მას ერთადერთი სასჯელი უნდა მიესაჯოს და ეს არის თავისუფლების აღკვეთა უვადოდ, – აცხადებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა. იქვე დაურთავს: – მინდა გააცნობიეროს ხელისუფლებამ, რომ მერაბიშვილის მიმართ გაწეული ნებისმიერი შეღავათი ამხელს ამ ხელისუფლებას იმაში, რომ ისინი რეალურად სპექტაკლს თამაშობენ. პოლიტიკური შეცდომა იყო ვანო მერაბიშვილისათვის მთავარ ბრალად ამის წაყენება. მე ვფიქრობ, რომ ის ჯერ უნდა ყოფილიყო მკვლელობისთვის დაპატიმრებული და ამის შემდეგ უნდათ, ყალბი პასპორტისთვის წაუყენონ ბრალი და უნდათ, დასაქმების შესახებ. ის პრემიერ-მინისტრი იყო და ამ დაკავებას აუცილებლად ექნება საერთაშორისო რეზონანსი, ამიტომ მისი დაკავება ფინანსური მაქინაციების გამო არ უნდა მომხდარიყო, – აცხადებს კუკავა.

„ახალი თაობა“ კახა კუკავასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

ნონა ცაბაძე

– ბატონო კახა, როგორ ფიქრობთ, დაიწყო ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა? თქვენ როგორ აფასებთ მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის დაკავების ფაქტს?

– სამართლიანობის აღდგენამდე ჯერ, რა თქმა უნდა, ძალიან შორსაა. ერთი ადამიანის დაპატიმრება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანობის აღდგენად. მე იმედი მაქვს, რომ ეს არ იქნება კამპანიური ხასიათის პროცესი და ჩვენ რეალური შედეგები გვექნება. პირველრიგში საინტერესოა მას შეუფარდებენ თუ არა წინასწარ პატიმრობას, წაუყენებენ თუ არა ბრალს რეალურად იმ დანაშაულობებში, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთას და დაიწყება თუ არა ქონების რესტიტუციის პროცესი. აი ეს არის აქ მნიშვნელოვანი და არა ის, ერთ ღამეს ვანო მერაბიშვილი გაატარებს თუ არა ციხის საკანში. ჩვენ გვახსოვს რამოდენიმე ასეთი დაკავება, რომელსაც შემდგომ ძალიან არასასიამოვნო სპექტაკლები მოყვა, როდესაც გაათავისუფლეს სასამართლო დარბაზებიდან ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა მაღალჩინოსნები.

– თუმცა ცვლილებები სასამართლოსთან დაკავშირებით უკვე ძალაში შევიდა...

– მე ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ ეს არ იყო სასამართლოს პასუხისმგებლობის საგანი, რაც მოხდა იმ საქმეებზე. ეს იყო პროკურატურის პასუხისმგებლობის საგანი. უბრალოდ პროკურატურამ ეს პიარული მეთოდი გამოიყენა, ვინაიდან სასამართლო დისკრედიტებულია, მას გადააბრალა პასუხისმგებლობა, თორემ რეალურად ჩვენ ვხედავთ, რომ ის საქმე, სადაც დაინტერესებული იყო პროკურატურა, რომ შეეფარდებინა დაპატიმრება, შეუფარდეს კიდევაც დაპატიმრება.

– თქვენ გგონიათ რომ მერაბიშვილი არ მიიღებს იმ სასჯელს, რაც მას რეალურად ეკუთვნის?

– ვერ გეტყვით. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ვანო მერაბიშვილის დაკავება გააკეთა გეიაღლუმის საპასუხოდ, იმიტომ, რომ 17 მაისს პირველად აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილი რეიტინგის ვარდნის საფრთხის წინაშე. უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო თვეების მანძილზე მის რეიტინგს არ მოუმატია, მისი რეიტინგი მხოლოდ იკლებდა, მაგრამ ეს იყო ძალიან ნელი კლება და პრინციპში ნორმალურიც არის იმ მაღალი მხარდაჭერის ფონზე, რომელიც მას პირველ ოქტომბერს ჰქონდა, მოსალოდნელიც იყო, რომ ეს რეიტინგი ნელ-ნელა დაიკლებდა. თუმცა 17 მაისს აშკარად გამოჩნდა ის, რომ მას დაუპირისპირდა ძალიან დიდი ძალა და პრაქტიკულად საზოგადოებამ უკვე დასვა შეკითხვები არა მარტო გეიაღლუმის შესახებ, გეიაღლუმი მხოლოდ საბაბი იყო, არამედ შეკითხვები რეალურად ეხებოდა კოჰაბიტაციას. შეკითხვები ეხებოდა იმას, რეალურად ამ ქვეყანაში შეიცვლება თუ არა რამე?! ამიტომ ხელისუფლებას დასჭირდა რაღაცა კონკრეტული ნაბიჯი, რომლითაც საზოგადოებას დაანახვებდა, რომ ის უუნარო არ არის. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის, თუ რას შეუფარდებენ ვანო მერაბიშვილს. მინდა გააცნობიეროს ხელისუფლებამ, რომ მერაბიშვილის მიმართ გაწეული ნებისმიერი შეღავათი ამხელს ამ ხელისუფლებას იმაში, რომ ისინი რეალურად სპექტაკლს თამაშობენ. მართლმსაჯულება უნდა იყოს ძალიან რეალური და ძალიან მკაცრი. ვანო მერაბიშვილს დაახლოებით 400-მდე ისეთ დანაშაულში ედება ბრალი, რომელთაგან ნახევარი ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ თუ ამ ქვეყანაზე საერთოდ არსებობს სამართლის ერთი ბეწო მარცვალი მაინც, რა თქმა უნდა, მას ერთადერთი სასჯელი უნდა მიესაჯოს და ეს არის თავისუფლების აღკვეთა უვადოდ.

– საუბარია, რომ მას თანდათან დაუმძიმდება ბრალი, იგივე გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით...

– დიახ, მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ასეც მოხდება. აბა, დასაქმების პროგრამიდან გამომდინარე ვერ დააპატიმრებენ.

– მაშინ რატომ მოხდა მაინცდამაინც ამ საქმეზე მისი დაკავება?

– ეს მართლაც ეჭვს იწვევს ჩვენში, იმიტომ, რომ ამ პროგრამის მიხედვით ჯერ ერთი, მძიმე ბრალის წაყენება შეიძლება გაჭირდეს მერაბიშვილის მიმართ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ძალიან პოლიტიკური ხასიათისაა ეს ყველაფერი და ძალიან აღძრავს ასოციაციებს იულია ტიმოშენკოსთან. იმიტომ, რომ არსებობს ასეთი სტერეოტიპი არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური, რომ თუ ხარ პრემიერ-მინისტრი, ან მინისტრი, ფინანსებთან შეხება ყოველთვის გაქვს და ფინანსების განკარგვა გიწევს და არსებობს მეორე სტერეოტიპი, რომ შეუძლებელი არის, გქონდეს დიდ ფულთან შეხება და ისე იმუშაო, რომ თუ მოინდომეს, რაიმე არ მოგიძებნონ. ანუ ეს არ არის კონკრეტული დანაშაული – ასეთი სტერეოტიპი არსებობს. მე ამ სტერეოტიპს მერაბიშვილის შემთხვევაში არ ვეთანხმები. მე ძალიან კარგად მესმის, პროკურატურა მას რა ბრალსაც უყენებს, ეს, რა თქმა უნდა, არის კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ის არის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მისი საქმე აუცილებლად მიიღებს საერთაშორისო რეზონანსს. ამიტომ პრემიერი, რომელსაც აპატიმრებენ ფინანსური დარღვევების გამო, ათიდან ცხრა შემთხვევაში, ევროპული საზოგადოებისთვის გახდება პოლიტიკური პატიმარი, მაგრამ პრემიერი, რომელსაც დააპატიმრებენ განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის, მიტინგის დარბევისათვის, ის არანაირ თანაგრძნობას არ იწვევს. ვიცით, ჩვენ რომ ახლა ჰოსნი მუბარაქის სასამართლო მიმდინარეობს, იმისათვის, რომ აქციების დარბევის დროს ხალხი დაიღუპა და არავინ მის მიმართ სიმპათიას არ გამოხატავს. მაგრამ იულია ტიმოშენკო, რომელსაც სახელმწიფო ხაზინიდან ფულის გაფლანგვა ედება ბრალად, ვხედავთ, რომ მთელი მსოფლიოს ზრუნვის საგანია. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური შეცდომა იყო ვანო მერაბიშვილისათვის მთავარ ბრალად ამის წაყენება. მე ვფიქრობ, რომ ის ჯერ უნდა ყოფილიყო მკვლელობისთვის დაპატიმრებული და ამის შემდეგ უნდათ, ყალბი პასპორტისთვის წაუყენონ ბრალი და უნდათ, დასაქმების შესახებ საქმისთვის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს მიზანმიმართულად მოხდა?

– არ ვიცი. ჩვენი პროკურატურის მიმართ მე დიდი ნდობა არა მაქვს ახლა და თუ მოახერხებენ კვალიფიციურად მერაბიშვილის დაპატიმრებას, შეიძლება ჩემი ნდობა გამოვასწორო, მაგრამ ჯერჯერობით რასაც აკეთებენ, მიზანმიმართულად აკეთებენ, თუ შემთხვევით აკეთებენ, არასწორად აკეთებენ, ფაქტია.

– ბატონო კახა, ჩვენ საუბრისას 17 მაისის აქცია ვახსენეთ და მინდა, რომ ამის შესახებაც გკითხოთ. დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ამ საკითხის განხილვა, თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? რამდენად შეიძლებოდა ამ დაპირისპირების თავიდან აცილება?

– ამისი თავიდან აცილება, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. პოლიციას რომ ჰქონოდა უფრო ნორმალური კორიდორი, არანაირი ექსცესი არ მოხდებოდა, მაგრამ პოლიციამ, მე რიგით პოლიციელებზე არ ვსაუბრობ, ამ შემთხვევაში მთავრობა მყავს მხედველობაში, რომელმაც შეგნებულად დაუშვა ეს პროვოკაცია. გასაგები იყო, რომ თუ მეტრო თავისუფლებასთან იდგებოდა 20 ათასი მორწმუნე და იქვე 15 მეტრში ცისფერები თავის გარყვნილ აქციებს ჩაატარებდნენ, ამას რომ მოჰყვებოდა მათ შორის დაპირისპირება, ამის პროგნოზირება ძალიან ადვილი იყო. პოლიციას რომ გაეკეთებინა მეორე კორიდორი და ცისფერების აქცია დაუშვათ კონკასთან ჩატარებულიყო, ამას არანაირი დაპირისპირება არ მოჰყვებოდა მომიტინგეთა შორის და არც დაზიანებულები იქნებოდნენ და არც ამხელა ხმაური არ იქნებოდა. ეს უშუალოდ თქვენს კითხვაზე პასუხია. ახლა ყველაზე მთავარი, რაც არ მითქვამს და რაც მინდა ვთქვა, რატომ მიმდინარეობს ამდენი სულგაყიდული და ხორცგაყიდული ექსპერტის, პოეტისა თუ მწერლის, რეჟისორის გამოსვლა და ვაი-ვიში, რომლებსაც ამ 9 წლის მანძილზე ხმა არ ამოუღიათ, რომ ამ ცისფერების „მარშრუტკას“ წიხლი როგორ დაარტყეს ახალგაზრდებმა. ეს არ ხდება ტყუილად, მე გეტყვით, ეს რატომ ხდება: საქართველოს მთავრობა ამზადებს ნამდვილ გეიაღლუმს თბილისში, სავარაუდოდ ეს მოხდება ივნისის თვეში, ეს უკვე აღარ იქნება ფლეშმობი, ეს იქნება ევროპული ტიპის გეიაღლუმი, ტიტველი კაცებით და ფერადი დროშებით და კიდევ სხვა უხამსი ატრიბუტებით. მზადდება საზოგადოებრივი აზრი, რომ ნებისმიერი ხელისშეშლის მცდელობა ამ გეიაღლუმის მიმართ, ეს არის ველურობა; ძალადობა არის მიუღებელი, ეკლესიის მსახურები თუ ზედმეტს იაქტიურებენ, შეიძლება მოვათავსოთ ციხის საკანში და ცდილობენ ამით დააკომპლექსონ ქართველი საზოგადოება, რათა გეიაღლუმის დროს მათ არ ჰქონდეთ ის მძაფრი რეაქცია და აბსოლუტურად ჯანმრთელი რეაქცია, რაც ჰქონდათ 17 მაისს. ამიტომ კეთდება ეს ყველაფერი, რომ ქართული ტელეარხების ეკრანებიდან არ ჩამოდიან, მე ვფიქრობ, აი, ეს უღირსებო ადამიანები, რომლებსაც არასდროს არც სააკაშვილზე და არც შევარდნაძეზე პროტესტი არ ჰქონიათ და დღეს აღმოაჩინეს 17 მაისის აქციაზე, რომ ეს ყოფილა ყველაზე უფრო სასტიკი რამ, რაც კი საქართველოს უახლოეს ისტორიაში მოხდა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა კიდევ ჩატარდეს მსგავსი აღლუმი?

– აუცილებლად. ეს გეგმა დევს საქართველოს მთავრობაში და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის გაკეთებას აპირებენ კიდევაც. თავისთავად ტრაგედია იქნება, თუ საქართველოში გეი აღლუმი შედგა. ამის შემდეგ მე გაძლევთ გარანტიას, რომ მარგველაშვილი გახდება პრეზიდენტი და 2014 წელი იქნება არა ნატოში გაწევრიანების წელი, არამედ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის წელიწადი. კარგია, რომ 17-ში ასეთი აქტიობა იყო, მაგრამ როცა აფრთხილებდნენ ქართველ საზოგადოებას, რომ კორძაიას თუ დაუჭერთ მხარს, ეს აქცია ჩატარდებაო. ხომ არ გვეყო ჩვენ სიფრთხილე. ახლა გეტყვით, რომ ჩატარდება გეიაღლუმი კიდევ და თუ მარგველაშვილს ავირჩევთ, ჩვენ გვექნება ერთსქესიანთა ქორწინებები ლეგალიზებული საქართველოში. ამიტომ ქართველმა საზოგადოებამ უნდა მოახდინოს ამაზე რეაგირება.

– მარგველაშვილია ამ ყველაფრის მომხრე?

– მარგველაშვილი არის ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებელი, რომელსაც ის არ მალავს და მსოფლიოში ყველგან, სადაც ლიბერალები არიან, ისინი იწყებენ ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას. ეს არ არის ჩემი გამოგონილი, ვინც პოლიტოლოგიის ანა-ბანა იცის, ყველა დამეთანხმება. მარგველაშვილის პირადად რა დამოკიდებულება აქვს ამასთან დაკავშირებით, ეს მეასეხარისხოვანია, არ ვიცი, ალბათ, პირადადაც მომხრეა. მე წავიკითხე მისი განცხადება ჯერ კიდევ 17 მაისამდე, რომ არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეეშალა საზოგადოებას ამ აღლუმისათვის.

– გარკვეული საფრთხის წინაშეა ქვეყანა?

– ვისთვის საფრთხეა, ვისთვის პროგრესია. ჩემთვის საფრთხეა, მაგრამ ლაშა ბაქრაძეს თუ ჰკითხავთ, გეიაღლუმი თამარისა და დავითის აუხდენელი ოცნებაა და რაც მალე ჩატარდება, მით უკეთესი...

გურამ ვახტანგაშვილი: „სად წავიდა აგვისტოს ომის შემდეგ გამოყოფილი 4 მილიარდი?!“

გულიკო ბალაძე

დროდადრო დამარცხებული ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენლები და ვადაგასული, მაგრამ ჯერ კიდევ პრეზიდენტის სტატუსით მოსარგებლე მიხეილ სააკაშვილი აცხადებენ, რომ ახალ ხელისუფლებას უნდა, ომის დაწყება საქართველოს დააბრალოს. ახლაც ამერიკაში ვიზიტად მყოფმა სააკაშვილმა იგივე გაიმეორა, მაშინ, როცა მათ საქართველოს სახელმწიფო დიდ განსაცდელში ჩააგდეს და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენეს.

სააკაშვილსა და ნაცებს რეაქცია არ ჰქონიათ მაშინ, როცა ევროკავშირის მიერ შექმნილი ტალიავინის კომისიის დასკვნით, ეს ბრალდება მათ, ფაქტობრივად, ზურგზე აწევთ.

სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ დაარწმუნა ევროკავშირის ექსპერტები, რომლებიც ტალიავინის კომისიაში მუშაობდნენ და ფაქტებს ადგენდნენ.

ეს დასკვნა ნებისმიერი ქართველისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველი დოკუმენტია, მაგრამ ნაციონალურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეს დოკუმენტი ასეთი სახით არ წარმოდგენილიყო და მასზე პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფოსთვის არ წამოეკიდათ კისერზე.

კარგად გვახსოვს, როგორ პასუხობდნენ საპარლამენტო კომისიას სააკაშვილის მაღალჩინოსნები, რომ ისინი რუსეთიდან არ ელოდნენ შემოტევას. ამიტომ აუცილებელია გაირკვეს ბევრი რამ და დადგინდეს მიზეზები, რატომ გაიცა ცხინვალზე შეტევის ბრძანება თუ არ ჰქონდათ სრულყოფილი სადაზვერვო მონაცემები და შესაძლო საპასუხო შემოტევის მოგერიებისა და თავდაცვის ეფექტური გეგმა მზად არ ჰქონდათ?

უნდა დადგინდეს, ეს იყო გაუაზრებელი ნაბიჯი თუ ქვეყნის შეგნებული გადაჩეხვა, რაც ტერიტორიების დაკარგვის, ცხინვალის რეგიონში ქართველების დამატებითი ეთნოწმენდისა და რუსეთის მხრიდან ამ ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარების ფასად დაგვიჯდა? ყველა შემთხვევაში ამ კრახზე პასუხისმგებლობა იმჟამინდელ ხელისუფლებასა და მთავარსარდალს აკისრია.

ტალიავუინის (ევროკომისიის) დასკვნა მომხდარი მოვლენების აღწერით იწყება, სადაც ნათქვამია:

– 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით ქართულმა არტილერიამ, ქალაქ ცხინვალზე განუწყვეტელი საარტილერიო შეტევა მიიტანა.

ხდებოდა ქართული შეიარაღებული ძალების სხვა გადაადგილებებიც ცხინვალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მიმართულებით.

მალე ბრძოლაში რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ქვედანაყოფები ჩაერთვნენ.

თუმცა, საქართველოს იერიში სამხრეთ ოსეთის მიმართულებით მალევე შეჩერდა, კონტრშეტევის შედეგად, რომელიც საჰაერო დარტყმებითა და შავი ზღვის ფლოტის ქვედანაყოფების მონაწილეობით განხორციელდა, რუსეთის შეიარაღებული ძალები ღრმად შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, გადაკეტეს ქვეყნის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი, მიაღწიეს ფოთის პორტამდე და თბილისის მახლობლად გაჩერდნენ.

დაპირისპირება შიდა კომბინირებულ კონფლიქტში გადაიზარდა, – ნათქვამია დასკვნის დასაწყისში, ხოლო შემდეგ ექსპერტების მიერ დასმული კითხვებისა და მათ მიერვე გაკეთებული დასკვნების მიხედვით, საქართველოს (ასე წერია დასკვნაში. ცხადია ხელისუფლების მაგივრად ყველგან საქართველო წერია) ქმედება გამართლებული არ იყო.

დასკვნის ციტირებას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ ვიტყვით იმას, რომ ამ დასკვნას საერთაშორისო საზოგადოება კარგად იცნობს, რადგან ევროკავშირის ექსპერტები, რომლებიც ამ საკითხს იკვლევდნენ, შეხვდნენ ყველა მხარეს, წამყვანი ქვეყნების ლიდერებს, ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათ შორის, საქართველოს, რუსეთის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების მთავრობებს. ამიტომ მათთვის კარგადაა ცნობილი, სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებების თაობაზეც. ჩვენ კი გვაინტერესებს ამ ომში ჩართვისა და დამარცხების მიზეზების გამოძიება.

ლიახვის ხეობის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი განაგრძობს ცხინვალის ომთან დაკავშირებით კითხვების საჯარო დასმას, იმ პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ უდიდეს მარცხში, რომელიც 2008 წლის აგვისტოში განვიცადეთ ჯერ ცხინვალთან, ხოლო შემდეგ მთლიანად ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთში. კოდორის ხეობის უბრძოლველად ჩაბარებაც მათ რიცხვშია.

გურამ ვახტანგაშვილს უნდა, მისი კითხვები, რომლებსაც იგი დროდადრო სვამს, გამოძიების საგანი გახდეს და დადგინდეს მიზეზები, რომელმაც განაპირობა 2008 წლის კრახი იმ პირობებში, როცა არსებობდა წინაპირობები გარდაუვალი შერიგებისთვის.

– ბატონო გურამ, ცოტა ხნის წინ თქვენ თქვენი კითხვების ერთი ნაწილი ჩვენი გაზეთის საშუალებით გაასაჯაროვეთ. საუბრობდით იმაზე, რომ ბრძოლის ველიდან, კერძოდ კი ლიახვის ხეობიდან გენერლები გამოიქცნენ და ჯარისკაცები ბედის ანაბარა მიატოვეს. საუბრობდით იმაზე, რომ გენერლები და მაღალჩინოსნები თქვენი მანქანით გამოვიდნენ იქიდან. მითხარით, რომ კიდევ გაქვთ უამრავი კითხვა და ფლობთ სერიოზულ ინფორმაციებს ამ კუთხით, რაზეც მომავალში კიდევ ისაუბრებთ. მაინტერესებს, რატომ მიეცით საშუალება, თქვენი მანქანით ესარგებლათ ომიდან გამოქცევისთვის ცხინვალის რეგიონში საბრძოლველად ჩასულ გენერალს და მაღალჩინოსნებს? მათ ხომ, ფაქტობრივად, პოსტი მიატოვეს? თქვენ რატომ მიეცით თქვენი მანქანა, თავიანთი ჯიპებით გამოქცეულიყვნენ.

– ჩემი მანქანა კი არ გადავეცი, მე საჭესთან ვიჯექი.

– რატომ წამოიყვანეთ, მათთვის გეცალათ?

– გადმოვიყვანე სოფლის ბოლოში, ყოფილ გამგებელთან, ალიკა მაისურაძესთან. ალიკა მაისურაძის სარდაფში გვქონდა შტაბივით მოწყობილი და ის გენერლები იქ შევაფარე. დანარჩენებიც მოგვიყვნენ. ბომბი რომ ჩამოვარდა, დაყარეს ბრონიჟილეტები, იარაღი და გამოიქცა გენერალი ორ მაღალჩინოსანთან ერთად.

– გამოძიებას ეტყვით, ვინ იყვნენ ის მაღალჩინოსნები და გენერალი?

– თუ დაინტერესდებიან, რა თქმა უნდა. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები თუ დაიწყებენ ძიებას და შეკითხვას თუ დამისვამენ, მათაც დავუსახელებ გვარებს გენერლისა და იმ ორი მაღალჩინოსნისას, რომლებიც ბრძოლის ველიდან გამოიქცნენ.

– ისე, ძალიან მწყინს, ახლა მათ გვარებს რომ არ მეუბნებით.

– პირობას გაძლევთ, თუ დაინტერესება იქნება, პირველს თქვენ გეტყვით მათ გვარებს. რასაც ვამბობ, ყველა ჩემს სიტყვაზე 100%-ით პასუხისმგებელი ვარ გვარებზე და ყველაფერზე. საღამოთი, იქითა ხეობიდან, შემოვლითი გზიდან შემოვიდა 15-20 კარისკაცი მოდიოდა. გადავუდექით გზაზე და ვაგინეთ, სად მიდიხართ, ხეობას ტოვებთ, ბიჭებოო. ერთმა თქვა, ბატონო გურამ, რად გვაგინებ, ზვიად ოქროპირიძე ვარ (ქურთის სპეცრაზმში ირიცხებოდა სანაკოევის მთავრობა რომ იყო), დილით მოვიდა თქვენი ხელმძღვანელობა, ოფისები და სახლები დაცალა (8 აგვისტოს ამბავს გიყვებით), ჩვენ გვითხრეს, წადით, თქვენს თავს მიხედეთო. მანქანაზეც არ დამსვეს, რომ აქეთ მხარეს გადმოვსულიყავით პატარა ლიახვის ხეობიდანო. მინდა დავსვა კითხვა, საიდან იცოდა ქარქოსოვისა და იმათმა მთავრობამ საიდან იცოდა, 8 აგვისტოს, დილის 10 საათზე რუსები და ოსები უნდა შესულიყვნენ? ხომ შეიძლებოდა, ჩვენ გაგვემარჯვა და რუსები და ოსები არ შესულიყვნენ? რად დაცალეს ოფისები და რად გამოიყვანეს სანაკოევის მთავრობა და მოსახლეობა არ გააფრთხილეს? მოსახლეობა დატოვეს. არც ერთი მოსახლე არ გაუფრთხილებიათ. ბავშვები, ქალები და მოხუცები ფეხით მოდიოდნენ, საწყლები და ამდენი ხალხი დაგვეხოცა.

– ე.ი. ჩვენი ჯარი იქ საბრძოლველად არ შემოსულა?

– საბრძოლველად? იქ არაფერი ბრძოლა არ ყოფილა. ბრძოლა იყო მცირე ხანს. დაბომბვა დაიწყო 7 ში და 8-ში იბომბებოდა ცხინვალი და მიმდებარე ტერიტორია. 8-ში, დილით ცხინვალში ჩვენი სატანკო ნაწილები რომ შევიდნენ, დაფიქსირდა, რომ ქართული ჯარი უკვე შესულია ცხინვალში, აფრინდა რუსების ავიაცია და სულ მთლიანად გაანადგურეს ცხინვალი. ფაქტობრივად, ეს ვაჟკაცი და მეომარი ბიჭები ცხვრებივით შერეკეს შიგნით, ხოლო ოფიცრობამ ისინი მთლიანად მიატოვა. ვაჟკაცი ბიჭები უპატრონოდ იყვნენ მიტოვებული და როგორც შეეძლოთ, ისე იბრძოდნენ.

– ამ დროს თვითონ ოსებს ცხინვალიდან მთელი მოსახლეობა გახიზნული ჰყავდათ.

– ოსებმა მოსახლეობა გახიზნეს. ხომ იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ, რომ ოსებმა ცხინვალიდან მოსახლეობა ომამდე ორი კვირით ადრე გახიზნეს, მოსახლეობა რატომ არ გააფრთხილეს?

– ეჭვი ხომ უნდა გასჩენოდათ, რომ მოწინააღმდეგე მხარე რაღაცისთვის სერიოზულად ემზადებოდა?

– 8 ან 9 აგვისტოს რატომ არ გააფრთხილეს? ხომ შეეძლოთ, ავტობუსები შემოეყვანათ და კონფლიქტის ზონიდან ხალხი გამოეყვანათ. ვსვამ კითხვას, ხალხი რატომ არ გააფრთხილეს?

– ანუ როდესაც საქართველოს ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო, ცხინვალიდან მთელი მოსახლეობა გაყვანილი ჰყავდათ, უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ისინი სერიოზულად ემზადებოდნენ საბრძოლველად. ეს ხომ ცხადი იყო?

– ოსები სერიოზულად ემზადებოდნენ და პროვოკაციებს აწყობდნენ და ჩვენებიც ხელს უწყობდნენ ამ პროვოკაციებში, ალბათ. კიდევ ერთი საკითხის გარკვევა მინდა. მაგალითად, 100%-ით ვიცი (გამოძიებას დაინტერესდება შემდეგ გვარებსაც დავუსახელებ), რომ 8 აგვისტოს კავშირგაბმულობის სისტემა მთლიანად მოიშალა...

– გვარები ახლა დაასახელეთ.

– არა, არა, აქ სამხედრო საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე. ხეობაში ნაწილებს შორის კავშირი მოიშალა. მაინტერესებს, ჩვენები სომხებს მართლა სთხოვდნენ თუ არა, გვათხოვეთ თქვენი უახლესი კავშირგაბმულობის სისტემებიო. სომხებმა უთხრეს, თქვენ ჩვენზე ადრე გაქვთ მოტანილი კავშირგაბმულობის უახლესი სისტემები და თქვენი საწყობები სავსეაო. მაინტერესებს, თუ საჯარისო ნაწილები შეჰყავდათ იქ, რატომ არ იყო, რატომ არ იყო კავშირგაბმულობის სისტემები გამართული?

– უგულავა იყო იქ?

– უგულავა იქ არ იყო. უგულავა გორში იმყოფებოდა. მე ვიყავი ხეობაში. მე ვიცი, რომ ნიქოზში, მეღვრეკისში და კირძვნისში ჩამოსული იყვნენ როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს აქტივისტები, რომ პარადი უნდა ჩაეტარებინათ. პრეზიდენტს პარადი უნდა მიეღო ცხინვალში. მაინტერესებს, რა გარანტიები ჰქონდათ, რომ 8 აგვისტოს ომს მოიგებდნენ და პარადს ჩაატარებდნენ? კიდევ ერთ შეკითხვასაც დავსვამ – საპარლამენტო კომისია თუ იქნება ან პროკურატურაში საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნება, ასეთ კითხვას დავსვამ – ომი რომ დამთავრდა, მსოფლიო – ევროპა და ამერიკა 4 მილიარდ ნახევარი დოლარით დაგვეხმარა. სად წავიდა ეს ფული?

თეა თუთბერიძე: „მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაკავებით ხელისუფლება საკუთარი უსუსურობის გადაფარვას ცდილობს“

,,თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის თეა თუთბერიძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებით ხელისუფლება ეკლესიის წინაშე თავისი უსუსურობის გადაფარვას ცდილობს.

როგორც გუშინ გაზეთ პრაიმ-ტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე თეა თუთბერიძემ განაცხადა, 17 მაისს ეკლესიამ საკუთარი კუნთები აჩვენა ბიძინა ივანიშვილს და ხელისუფლებამ ანაფორაში გადაცმულ კრიმინალებს პასუხი ვერ გასცა.

„17 მაისის ფონზე ხდება მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაკავება, რათა ხელისუფლებამ საკუთარი უსუსურობა გადაფაროს ეკლესიის წინაშე. ეს რომ მომხდარიყო ერთი კვირით ადრე, ან ერთი თვით გვიან, მსგავსი ეჭვები არ გაჩნდებოდა“, – აღნიშნა თეა თუთბერიძემ.

მისი განცხადებით, პროკურატურის მიერ დაანონსებული ვანო მერაბიშვილის ბრალეულობები 26 მაისისა და გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სამარცხვინო და სამწუხაროა, რადგან პროკურატურა ჭორების გამავრცელებელ ორგანოდ გადაიქცა.

მედიანიუსი

ბათუმის მერიის თანამშრომლები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლები – ტარიელ მახარაძე, ნოდარ მამულაძე და რამაზ დევაძე ბათუმის საქალაქო სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა.

მოსამართლე დავით მამისეიშვილის განცხადებით, დაკავებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი დაირღვა, კერძოდ, მოსამართლის განმარტებით, პირის დასაკავებლად პროკურატურას სასამართლოსთვის შუამდგომლობით უნდა მიემართა და სასამართლო განჩინება მოეპოვებინა, რაც პროკურატურას არ გაუკეთებია.

ბრალდების მხარე მიზეზად დაკავებულების მიმალვის საფრთხეს ასახელებდა და მათთვის პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა.

ბათუმის მერიის თანამშრომლები სამსახურებრივი გულგრილობისა და სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მითვისების ბრალდებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ორი დღის წინ დააკავა. საქმე ბათუმში ველობილიკების მოწყობას ეხება.

მედიანიუსი

მაია ფანჯიკიძე იაპონელ პარლამენტარებს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გუშინ შეხვედრა გამართა იაპონიის საგარეო საქმეთა საპრალამენტო-ვიცე მინისტრთან მინორუ კიუჩისთან, აგრეთვე შედგა შეხვედრა იაპონია-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ლიგის ხელმძღვანელებთან.

შეხვედრებზე განიხილეს საქართველოსა და იაპონიას შორის თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრი, დაისახა ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები.

„იაპონიის პარლამენტში არსებობს საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტში – იაპონიასთან მეგობრობის ჯგუფი. ამ ჯგუფებს შორის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური დიალოგისთვის. მე მათ შევხვდი საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკაზე სასაუბროდ. გავაცანი ჩვენი რეფორმები. გარდა ამისა, ვისაუბრეთ მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე. იაპონელი პარლამენტარების მხრიდან განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ეკონომიკის, ენერგეტიკის თემებმა. მათ რასაკვირველია აინტერესებდათ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობები. ჩვენი შეხვედრა ძირითადად ამ საკითხებს შეეხო და ჩვენ მათ მივაწოდეთ ამომწურავი ინფორმაცია ამ საკითხების შესახებ. რასაკვირველია მე ეს ჯგუფი მოვიპატიჟე საქართველოში და მათაც გამოხატეს საქართველოში ჩამოსვლის ინტერესი“, – განაცხადა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მაია ფანჯიკიძემ იაპონიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა იაპონიის სასაკავას მშვიდობის ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ქ-ნ ჯუნკო ჩანოსთან. ფონდში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა წაიკითხა ლექცია. მინისტრმა ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების შესახებ.

მედიანიუსი

მუზეუმები და ტაბურეტი

როლანდ ხოჯანაშვილი

,,ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

,,მუზათა ტაძრებში“ საზოგადოება ღებულობს ესთეტიკურ სიამოვნებას, განათლებას და ხშირად ის რეკრეაციული დანიშნულებისაცაა. ადამიანები სულიერი წონასწორობის აღსადგენად ძალიან ხშირად აკითხავენ მუზეუმებს, რადგან ეს დაწესებულებები არ არსებობენ ფინანსური მოგებისთვის და მისი დათვალიერებით შეუფასებელი მოგება რჩება პროგრესულ მოქალაქეს. ნებისმიერი მისწრაფების ადამიანისათვის არსებობს მუზეუმის სხვადასხვა სახეობა: საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური, სახელოვნებო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ სხვა. დროის ცვლასთან ერთად იმატებს მუზეუმების სახეობები. როგორც წესი, ამ დაწესებულებების რაოდენობითა და მასშტაბებით ევროპა ლიდერობს. დიდ მუზეუმებს აქვს ეგრეთ წოდებული შესყიდვების დეპარტამენტები, რომელთა დანიშნულება ექსპონატების მოძიება და შეძენაა. ბოლო პერიოდში ონლაინმუზეუმებიც გამოჩნდა, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროში უფასოდ და დროის მინიმალური დანახარჯებით, თუმცა ის ესთეტიკურ-საგანმანათლებო თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩება რეალურ ანალოგებს.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართულებით საქმე საქართველოში? მუზეუმთა რაოდენობით, როგორც ამბობენ, ფინეთი ლიდერობს. ერთ სულ მოსახლეზე გათვლით ჭაობების ქვეყანაში ბევრად მეტი მუზეუმი მოდის, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოში. საქართველოში მუზეუმების რაოდენობით (ასევე ეთნოგრაფიული ძეგლებით) თბილისი და კახეთი ლიდერობს. ყველაზე დიდი სამუზეუმო გაერთიანება საქართველოს ეროვნული მუზეუმია, რომლის შემადგენლობაში 10-ზე მეტი დაწესებულება შედის. სამეცნიერო, საგანმანათლებო და საექსპოზიციო დანიშნულების კოლექციები რამდენად დაცულია, ამაზე მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვით.

20 მაისს, თითქოს სხვა სადარდელი არაფერი ჰქონდეთ იმერეთში, სიმონეთში, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმთან დაკავშირებით აურზაური დაიწყო. გატაცებული ექსპონატების გამო დირექტორს ედავებიან. დავითის ვაჟის, სერგო კლდიაშვილის მაგიდას დირექტორი იყენებსო, დაკარგულია საათი და სხვა მნიშვნელოვნად ფასეული ნივთებიც, რომელიც ამჟამინდელი დირექციის მმართველობის პატრონაჟის ქვეშ არ იყოო. რამდენჯერმე მივსულვარ დავით კლდიაშვილის სახლმუზეუმში, გიდს ფაცხაფუცხით ბიოგრაფიული ელემენტები ჩამოუკაკლავს, მერე პირველსა და მეორე სართულზე არსებულ ექსპონატებს გამაცნობდა და ტრადიციულ იმერულ ეზოკარმიდამოს რაღაც იმედგაცრუებით ვტოვებდი. თუ მკითხავთ, რა დამამახსოვრდა ყველაზე მეტად, გეტყვით. ქვა, რომელიც ჩამქრალ ბუხარში დევს. ამ ქვას კლდიაშვილის სიკვდილის სტარტთან აქვს კავშირი და მის წაღებას არავინ არ მოიფიქრებს, რადგან ქვაა და მეტი არაფერი. პარალელურად მახსენდება აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი სხვიტორში. იქ დაახლოებით 7 ათასი ექსპონატი ინახება, მაგრამ საგამოფენო სივრცე ნაკლებად არის როსტომ წერეთლისეულ სასახლეში, ამიტომ წერეთლისეული ნივთების ნახვა სრულიადში შეუძლებელია. არც წერეთლების ნაქონი ნივთებისთვის დაუკლიათ ხელი 90-იან წლებში. ჩემი ბავშვობისას აკაკის საძინებელში, ფანჯრის რაფაზე, დოქი იდო, რომლითაც დიდი პოეტი ჩიხურის წყალს სვამდა. რამდენიმე წლის წინ ის დოქი სხვა თიხის სარწყულით იყო შეცვლილი. არ ვიცი, მოიპარეს თუ ბაცაცებს შეატყდათ ხელში, მერე ადმინისტრაციამ შეცვალა ახლით. გაიტაცეს იშვიათი გამოცემები, ხალიჩები, ფაიფური... მოკლედ, ფასეული რაც იყო მატერიალური თვალსაზრისით, თორემ აკვანი არ წაუღიათ, ეგებ აკაკის მსგავსი გავზარდოთო.

პატარ-პატარა მუზეუმები, რომლებსაც საოჯახო დანიშნულება ჰქონდა, უპატრონობით ან მოუვლელობით გაქრა, ზოგმა დანიშნულებაც დაკარგა. ზემო იმერეთი ორ საგარეუოს ეკუთვნოდა, სააბაშიძეოსა და საწერეთლოს. ალბათ ყველას გსმენიათ, რომ საწერეთლოში გამორჩეული იყო ცხრუკვეთი, ჩვენი პრეზიდენტი მშობლიურ სოფლად რომ აცხადებს. მიხეილ სააკაშვილის ნათესავი წერეთლები ცხრუკვეთიდან არიან და იქ არის ერთი პატარა სახლ-მუზეუმი, რომელსაც პრეზიდენტის ბაბუის ტოლფასი კაცი, ოსიკო წერეთელი პატრონობდა. მატერიალური იქ არაფერი იყო მაინცდამაინც, რადგან ცხრუკვეთელი წერეთლები ქონებით არასდროს გამოირჩეოდნენ (რასაც გონიერებით და ცოდნით აკომპენსირებდნენ). გიორგი წერეთლის (აღმოსავლეთმცოდნე გიორგის ვგულისხმობ) რამდენიმე პირადი ნივთი და მიხეილის ბავშვობისდროინდელი პლასტმასის სათამაშოები ქურდებისთვის დიდ ინტერესის საგანს ვერ შექმნიდა.

პროკურატურა და შსს ახლა სხვა საქმეებით არის დაკავებული, მაგრამ მაინც ეროვნული საგანძურის ტოლფასი ექსპონატები უნდა მოიძიონ, თუკი ამის შესაძლებლობა არის. სხვა თუ არაფერი, ისეთი პრეცედენტები მაინც უნდა დაუშვან, რომ მოპარვის სურვილი გაუქრონ კრიმინალებს.

ინფორმაცია ძვირადღირებული ექსპონატების შესახებ სწრაფად ვრცელდება. ჯიბეგამოფხეკილებს შეიძლება ფიროსმანის სახლ-მუზეუმის გაძარცვა მოუნდეს, ან სულაც ეთნოგრაფიული მუზეუმებიდან იფიქრონ ძვირფასი ნივთების აორთქლებაზე.

კლდიაშვილის მუზეუმის გარშემო ატეხილი ვაიუი სანახაობის თვალსაზრისით ძალიან ჩამორჩება ლგბტ სანახაობას. მართალია, ჯოხის ტრიალი (ქიცინს ეძახიან იმერეთში) აქაც იყო, მაგრამ ტაბურეტი მაინც სულ სხვაა. იქნებ რაღაც გრანდიოზული მოხდეს, თორემ პატარა მუზეუმის სკანდალი აგრესიას მიჩვეული საზოგადოებისათვის ინფორმაციული ლუკმაც არ არის. მაქსიმალისტური ბუნების ქართველებს უფრო გრანდიოზული სანერვიულო თენები გვიყვარს და, სავარაუდოდ, არ მოგვიწევს დიდხანს ლოდინი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დედა აქტიური უნდა იყოს

მერი ნამორაძე

წლევანდელი წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) წლად გამოცხადდა, რაც თავისთავად გულისხმობს ამ ადამიანებისათვის ცხოვრებისა და განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნას, ხელმისაწვდომობის გაზრდას სხვადასხვა სერვისებზე და სამუშაო ადგილების შექმნას. მაინც რა შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის, თუ დაპირება ისევ დაპირებად დარჩა? როგორც აღმოჩნდა, შეცვლით ბევრი არაფერი შეცვლილა, მაგრამ მოლოდინი იმისა, რომ მომავალი უკეთესი იქნება, კვლავ მაღალია. „ახალი თაობა“ პრემიერთან არსებული შშმ პირთა საკოორდინაციო საბჭოს წევრს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობელთა ორგანიზაციის „მშობელთა ხიდის“ ხელმძღვანელს, თეონა ყაჭეიშვილს ესაუბრა:

თეონა ყაჭეიშვილი:

– წლევანდელი წელი გამოცხადებულია შეზღუდული შესაძლებლობის პირთა წლად. მოლოდინი ძალიან დიდია. პრობლემები, რაც წინა წლებში გვქონდა, გვჯერა, რომ გადაწყდება და ღირსეული ცხოვრების პირობები შეექმნებათ ამ ადამიანებს. ქმედითი ნაბიჯები ჯერჯერობით არ გადადგმულა იმის გარდა, რომ მკვდარი სტრუქტურა იყო პრემიერთან არსებული შშმ პირთა საკოორდინაციო საბჭო, დღეს კი რეალურად ამოქმედდა. ამ კუთხით დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ძალიან მოტივირებულია, უკვე რამდენჯერმე მოხდა შეხვედრა, საკოორდინაციო საბჭოს არჩევნებიც ჩატარდა და მენტალური პრობლემების მქონე ადამიანთა ინტერესებს მეც ვიცავ. გავხდი შშმ პირთა საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

–კონკრეტულად რას მიიჩნევთ პრიორიტეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ღირსეული გარემოს შექმნელად?

პირველ რიგში, აუცილებლად უნდა მოხდეს გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება, რომელიც დაეხმარება სახელმწიფოს, საკუთარ თავზე აიღოს სხვადასხვა პასუხისმგებლობები. დღეს კანონმდებლობის ლაფსუსების გამო ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო სტრუქტურებს მხოლოდ კეთილი ნების შემთხვევაში შეუძლიათ ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმა. როცა კონვენციის რატიფიცირება მოხდება, მერე უკვე მის საფუძველზე გადაიდგმება აუცილებელი ნაბიჯები. პრობლემები კიდევ სხვადასხვაა – პროფესიული სისტემა განსავითარებელია, ინკლუზიური განათლება განვითარდა, მაგრამ დასახვეწია; სახელმწიფო დაზღვევით, რომელიც ყველა ჩვენგანს გადაეცა და ძალიან კარგია, არ არის გათვალისწინებული ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებისათვის განკუთვნილი პრეპარატები თუ სარეაბილიტაციო მომსახურება. სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია წელიწადში 10 დღე, რომელიც ფუჭად არის გადაყრილი, რადგან ქრონიკულ დაავადებებს მუდმივი რეაბილიტაცია თუ არა, კურსები მაინც სჭირდება, რომლის შუალედი არ უნდა იყოს 4 თვე თუ 6 თვე, მით უმეტეს, ერთი წელი. ადამიანებს გარდა წამლებისა და რეაბილიტაციისა, არ აქვთ ელემენტარული ჰიგიენური საშუალებები. აუცილებელია სოციალური პაკეტი შევიდეს ამ ადამიანების სერვისში, რომელიც გაითვალისწინებს მედიკამენტურ მკურნალობას, სარეაბილიტაციო სერვისიც შევა და თუ საჭირო იქნება, ჰიგიენური საშუალებებით დახმარებაც, რადგან პამპერი და სხვა ჰიგიენური საშუალებები საკმაოდ ძვირადღირებულია. დასაქმებაც აქილევსის ქუსლია შშმ პირებისათვის. მხოლოდ ერთეული შემთხვევებია, როცა ამ კატეგორიის ადამიანი დასაქმებულია.

– საზოგადოების ტოლერანტობაზე რას იტყვით, თუ შეიცვალა ამ კუთხით ვითარება?

– ტოლერანტობა გაზრდილია, მაგრამ პრობლემად რჩება ისევ მშობელთა განათლება და ადეკვატური აზრის წარმოჩენა. რადგან თუ არ მოხდა მშობელთა ჩართვა მუშაობაში, ის რესურსი, რაც შშმ ბავშვებზე იხარჯება ბაღებში, სკოლებსა თუ დღის ცენტრებში, დაიკარგება.

– თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ მშობელთა ნაწილი მალავს საკუთარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილს საზოგადოებისგან. რამდენად არის დაძლეული ეს პრობლემა დღესდღეობით?

– თუ მშობელი ადეკვატურია, განათლებულია და მოდის დიალოგზე, წარმატება სახეზეა. რომ ნახოთ ერთი და იმავე პრობლემის მქონე ბავშვის განვითარება, როცა ერთთან მშობელი აქტიურია, რომელმაც ტრენინგი, პედაგოგის, სპეციალისტების რჩევა მიიღო, მეორე მშობელმა კი არა, აქტიური დედის ბავშვის პროგრესი უფრო დიდია. თუ საშინაო გარემოში არ ხდება ნასწავლის განმტკიცება, შედეგს ვერ გამოიტანს და ჩვევად არ ჩამოყალიბდება შემდგომში.

– ალბათ, სოციალურად დაცული ოჯახის მშობლები უფრო აქტიურობენ?

– ესეც მოქმედებს, მაგრამ ყოველთვის ეს არ არის მიზეზი. ზოგჯერ მშობელს სოციალური პრობლემა არ აქვს, მაგრამ კომპლექსები აქვს, ფობიები და შიში ბავშვთან ურთიერთობის და ვერ მუშაობს შვილთან. უფრო ნაკლებია ასეთი შემთხვევები, მაგრამ სამწუხაროდ, მაინც გვხვდება.

აუტისტური პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობაში ბევრი ახალი მეთოდია განვითარებული, რაც ადრე არ იყო. ერთ-ერთია კომუნიკაციური ბარათები, „პექსებს“ უწოდებენ, რომელიც საქართველოში პრაქტიკულად არ არის დანერგილი და ჩვენმა სპეციალისტებმა დაიწყეს მისი დანერგვა. ამ შემთხვევაში ადეკვატური და მომზადებული მშობლის როლი ძალიან დიდია. ასე 9 ბავშვთან დავიწყეთ მუშაობა და ვერ წარმოიდგენთ შედეგებს – ბავშვებმა, რომლებსაც კომუნიკაცია ფაქტიურად არ ჰქონდათ, ძალიან დიდ შედეგებს მიაღწიეს. ბარათები გამოიყენება აუტისტური სპექტრის მქონეთათვის, რომლებსაც მეტყველების პრობლემა აქვთ. მოგეხსენებათ, რომ აუტისტური პრობლემების მქონე ადამიანებმა შინაგანად ბევრი იციან, მაგრამ ვერ იხსნებიან. კომუნიკაციური სოციალური უნარ-ჩვევები ფაქტიურად არ აქვთ. ისინი საკუთარ თავში არიან ჩაკეტილნი. ახალი მეთოდი ასახსნელად არ არის რთული, მაგრამ რთულია იმ მხრივ, რომ ყოველდღიურირუტინულისამუშაოა. ანუ მასწავლებელმა და მშობელმა ერთდროულად უნდა იმუშაოს. აქ მიდის ქცევის გამტკიცებაზე მუშაობა. ფსიქოლოგმა უნდა მოუნახოს ბავშვს თუ რა უყვარს, რითიც შეიძლება გაუმტკიცოს ესა თუ ის ქცევა. აქ არ არის მხოლოდ კომუნიკაციური ბარათის აღება, ანუ მიმართული მეტყველების გაგება. საჭიროა ინსტრუქციის შესრულება და ასე შემდეგ. დავუშვათ, ბავშვს წყალი სწყურია, ან სურს ბანანის მირთმევა და მას მეტყველება არ აქვს, ევროპაში ასეთი ბავშვები დადიან მაგნიტური დაფებით ან აიპედით და შეუძლიათ ბანანი შეუკვეთონ გამყიდველს. ეს არის ალტერნატიული კომუნიკაცია. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა კომუნიკაციური ბარათის მიღების შემდეგ მეტყველებაც მოდის. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს მეთოდი მხოლოდ პილოტურ დონეზე კი არ უნდა იყოს, არამედ ფართოდ გასავრცელებელი და დასანერგია.

– თქვენ დასაქმების პრობლემა ახსენეთ, რამდენად რეალურია უახლოეს მომავალში შშმ პირთათვის სამუშაო ადგილების შექმნა ან თქვენი ორგანიზაცია თუ მუშაობს ამ კუთხით?

– გვაქვს პროექტი, რომელიც ეხება მაგნიტური ბარათების დამზადებას. შშმ-პირები საკუთარი ხელით დაამზადებენ მაგნიტურ ბარათებს საქართველოს ლამაზი ხედებით, იქნება ეს ძველი თბილისი, სიღნაღი, ბათუმი და ასე შემდეგ. ვიცით, ვინ რა ოპერაციას შეასრულებს. სხვა იდეებიც გვაქვს, მაგრამ დონორთა წრე ძალიან შემცირდა და მხოლოდ სახელმწიფო დახმარების მოლოდინში ვართ. დონორებს ურჩევნიათ, რამდენიმე თვით დაგაფინანსონ და შემდეგ სახელმწიფომ აიღოს საკუთარ თავზე ეს სერვისი, როგორც ეს დღის ცენტრის მაგალითზე მოხდა. საერთაშორისო დონორებმა ძალიან იკლო საქართველოში, ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა დემოკრატიისაკენ და სოციალური სფეროს დაფინანსება სრულად აიღო თავის თავზე სახელმწიფომ, რისი მაგალითიც არის დღის ცენტრების დაფინანსება და ასე შემდეგ. უფრო ამ ადამიანების ადვოკატირებას აფინანსებენ დონორები, სერვისებს კი – აღარ.

„მშობელთა ხიდის“ დიდი ძალისხმევა დაიხარჯა შენობის გარემონტებაზე, მოიძებნა დონორები, თავის დროზე გვეხმარებოდნენ ჰოლანდიელები, ასევე ორგანიზაცია ჟენევის ინიციატივა „ფსიქიატრიაში“, შემდეგ იაპონიის საელჩომ ჩადო ფული, იტალიელებმა არაჩვეულებრივი გათბობის სისტემა დაამონტაჟეს და 10 წელზე მეტია აქ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვები დადიან და არსებობს ეს დღის ცენტრი. ამიტომ მესამე წელია ვიბრძვით, რომ უზურფრუქტით გადმოგვეცეს ეს შენობა, რათა იყოს სოციალური საწარმოც, სადაც დავასაქმებთ ამ კატეგორიის ბავშვებს.

აკაკი წერეთელზე ბიოგრაფიული რომანის წარდგინება გაიმართა

„აკაკის ლანდი“ – ასე ჰქვია ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიულ რომანს, რომლის წარდგინებაც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.

ამ ჟანრში ეს მისი პირველი ცდა არ არის, ქართველი მკითხველი იცნობს მის ორ ჩინებულ თხზულებასაც სოლომონ აშორდიასა და დათა მიქელაძეზე. მესამე ცდა კი, ფორმის მხრივაც ახლებურად გააზრებული, წარმოგვიდგება ნოველების სერიის სახით, ანუ: ბიოგრაფიული რომანი ნოველებად, რაც წიგნის რედაქტორისა და ამ თავყრილობის წამყვანის, როსტომ ჩხეიძის თქმით, ქართულ ლიტერატურაში პირველად მოისინჯა – და საკმაოდ წარმატებულადაც – და ძალდაუტანებლად მოიყოლია აკაკი წერეთლის ფსიქოლოგიური პორტრეტის ხელშესახებად და ორიგინალური კუთხით გამოკვეთის სურვილმა.

– ამ წიგნში პერსონაჟებად ნუ ელოდებით ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგს... ნიკო ნიკოლაძეც სადღაც გაიელვებს მხოლოდ. ავტორმა არჩია, უფრო კულუარული მხარე წამოეწია მაშინდელი საზოგადოების პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრებისა და უამრავ „წვრილმანზე“ აგებული თხრობით, ძველი პერიოდიკისა და საარქივო მასალების გულმოდგინე შესწავლითა და ამ მასალაზე დაყრდნობით წარმოსახა ეპოქის სულიც, პერსონაჟთა გალერეაცა და აკაკი წერეთლის მონუმენტური ფიგურაც, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურულ მოვლენათა შუაგულში მდგომისა და საიმედო მეგზურის საქართველოს წარსულსა და მომავალში.

შეხვედრაზე იოსებ ჭუმბურიძემ „აკაკის ლანდისათვის“ შესაფერისი არქიტექტონიკით აგებული მოხსენებით მიმოიხილა ელგუჯა თავბერიძის ეს რომანი და შეაფასა როგორც გამორჩეული მოვლენა ჩვენს სალიტერატურო მდინარებაში.

თხზულების შესახებ ისაუბრეს მწერლებმა და მეცნიერებმა: გიორგი გოგოლაშვილმა, რეზო ჭეიშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა, დარინა ყურუამ, გია ხოფერიამ, ჯული გაბოძემ, ნანა კუციამ, ზაურ კალანდიამ და სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩინეს ურთულესი XIX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენებიც და რომანის ღრმა შრეებიც, რომანისა, რომელიც ერთგვარად აგრძელებს შალვა დადიანის რომანში „გვირგვილიანების ოჯახი“ წარმოსახულ ისტორიულ-დოკუმენტურ ფონს და თავისებურ მატიანედ წარმოგვიდგება, როგორც საერთოდ ელგუჯა თავბერიძის შემოქმედება, ხვალ გზამკვლევად რომ იქცევა მათთვის, ვისაც სურვილი გაუჩნდება ჩაიხედოს XIX, XX თუ XXI საუკუნის არა მხოლოდ ლიხს იქითა, ლიხს აქეთა საქართველოს ცხოვრებაშიც.

აკაკი წერეთელზე არაერთი მონოგრაფია თუ ვრცელი ნარკვევია შექმნილი, მაგრამ უსათუოდ გვაკლდა ბიოგრაფიული რომანი, ამ დიდებული პიროვნების ღირსების შესაფერისი. „აკაკის ლანდი“ სავსებით ამართლებს მკითხველის ამდენი ხნის მოლოდინს, ის სრულფასოვანი წიგნია, მაგრამ სტრუქტურულად ისეთი აგებულებისაა, რომ კიდევ შეიძლება შეივსოს (ვახტანგ ჯავახიძის მხატვრულ-დოკუმენტური წიგნისა არ იყოს გალაკტიონ ტაბიძეზე) და ახალი მასალების მოძიების კვალობაზე რამდენიმე წლის შემდეგ უფრო დიდტანიან თხზულებადაც წარმოგვიდგეს.

მედიანიუსი

სოფიკო ჭიაურელის იუბილე ხელოვნების სასახლეში აღნიშნეს

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს ვახსოვლავის სოფიკო ჭიაურელის 76 წლის იუბილე მის დაბადების დღეზე საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში აღნიშნეს. მუზეუმში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საგანგებო გამოფენა გაიხსნა.

დიდი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის სოფიკო ჭიაურელის დაბადებიდან 76 წლის იუბილეზე მუზეუმის ეზოში ექსპონირებული იყო 76 ფოტო მსახიობის მიერ შესრულებული ფილმებიდან, სპექტაკლებიდან და პირადი ცხოვრებიდან. იუბილესთან დაკავშირებით ხელოვნების სასახლის უკვდავთა თაღში შედგა მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის მიერ შესრულებული ჰორელიეფის გახსნაც.

იუბილის აღსანიშნავად ასევე გაიმართა ალბომის პრეზენტაცია, რომლის ტექსტის ავტორია მანანა გეგეჭკორი, დიზაინი თამარ ფოცხიშვილს ეკუთვნის, ხოლო წიგნი გამომცემლობა „სეზანის“ მიერ არის გამოცემული. როგორც გამოფენაზე ითქვა, ამ კრებულის შექმნა ნებისმიერ წიგნების მაღაზიაშია შესაძლებელი. შემოსული თანხა კი ფონდ „იავნანას“ გადაერიცხება და სოციალურად დაუცველ ოჯახებს მოხმარდებათ.

ხელოვნების სასახლეში შეკრებილი საზოგადოებისთვის წარმოდგენილ იქნა დოკუმენტური ფილმი „სოფიკო“, რომლის რეჟისორებიც ნიკუშა შენგელაია და აღექსანდრე ჭიაურელი არიან.

სოფიკო ჭიაურელის 76 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ნიკოლოზ რაჭველი, უცხოეთში მოღვაწე ქართველი აღტისტი გიორგი ცაგარელი და ევგენი მიქელაძის ეროვნული მუსიკალური ცენტრის მუსიკოსები. ღონისძიება პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის „იავნანა“ მხარდაჭერით განხორციელდა.

სოფიკო ჭიაურელის იუბილეზე ხელოვნების სასახლეში მივიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ეკატერინე ხვედელიძესთან ერთად, ასევე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, გამოფენაზე იმყოფებოდნენ მსახიობის ოჯახის წევრები, შვილები, კოლეგები, მსახიობები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები. ნიკუშა შენგელაიამ პირადად უმასპინძლა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და გამოფენილი ფოტოების ისტორია გააცნო.

ხელოვნების სასახლეში იმყოფებოდნენ მურმან ჯინორია, ჯემალ ღაღანიძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, კულტურის მინისტრის მოადგილეები მარინა მიზანდარი და მანანა ბერიკაშვილი, ილიკო სუხიშვილი, ლიზა ბაგრატიონი, ჯამლეტ ხუხაშვილი და საზოგადოებისთვის ცნობილი წარმომადგენლები.

სოფიკო ჭიაურელი თავისი კარიერის განმავლობაში ქართველი მაყურებლისთვის გამორჩეული მსახიობი გახდა. მას თეატრსა და კინოში 100-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული და არაერთი პრესტიჟული ჯილდოსა თუ პრემიის მფლობელია. მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის შვილია. ცნობილია, რომ იგი ყველა გარშემომყოფზე განსაკუთრებით ზრუნავდა და მათთვის ნამდვილ დღესასწაულებს აწყობდა. სოფიკო ჭიაურელი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 71 წლის ასაკში 5 წლის წინ გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის, კოტე მახარაძის გვერდით დაკრძალეს.

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

– ვულოცავ მთელ საქართველოს სოფიკოს დაბადების დღეს. 76 წლის გახდებოდა დღეს ჩვენი გენიალური მსახიობი, ვინც ეს გამოფენა მოაწყო, ნამდვილად შექების ღირსია, საოცარი გამოფენაა, გვაბრუნებს ეს ყველაფერი ჩვენს ისტორიაში, არაჩვეულებრივი ჰორელიეფია, მართლაც შესანიშნავია. ეს არის ჩვენი ისტორია, საუბედუროდ, ბევრი ჩვენი ცნობილი მსახიობი წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩვენ ყოველთვის უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენი სახელოვანი ადამიანები გავიხსენოთ და პატივი მივაგოთ.

დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:

– ნამდვილად შესანიშნავი გამოფენაა. ყოველდღე ბედნიერები ვართ მაშინ, როცა სოფიკო გვახსენდება და ის საკმაოდ ხშირად გვახსენებს თავს. ეს ადამიანი იყო ერთ-ერთი ყველაზე თბილი ადამიანი, ვისაც კი ჩემს ცხოვრებაში ვიცნობდი. კარგია, რომ ქართველ საზოგადოებას ახსოვს ეს არაჩვეულებრივი ადამიანი და მის დაბადების დღესაც ასე ორიგინალურად აღნიშნავს. ძალიან საინტერესო ფოტოებია გამოფენილი და საკმაოდ მრავალფეროვანი ექსპოზიციაა.

გივი ბერიკაშვილი, მსახიობი:

– სანამ ცოცხალი ვარ, სოფიკო არასოდეს დამავიწყდება, მასთან ერთად გატარებული ყოველი დღე, წუთი და წამი მახსოვს. ის მართლაც განუმეორებელი ადამიანი იყო. უკან არაფერზე დაიხევდა, სიცოცხლესაც კი განირავდა შენი გულისთვის. ყველას მხარში ედგა, სრულიად უცნობ ადამიანებს ეხმარებოდა, რომ ვიხსენებ მასთან ერთად გატარებულ დღეებს, ღამის ცუდად გავხდე, მთელი ცხოვრება ერთად

გავიარეთ, თურმე რამდენი სიხარული და რამდენი ტკივილი გადაგვიტანია ერთად. მან ქართველი საზოგადოების თაობებში დატოვა წარუშლელი კვალი და მჯერა, მომავალშიც ასე იქნება.

მანანა ბერიკაშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე:

– ბედნიერები ვართ, რომ მე და კულტურის სამინისტრო ვართ სოფიკოს დაბადების დღის მასპინძლები. ამ არაჩვეულებრივმა მუზეუმმა ყველაფერი გააკეთა, რომ ეს დღე ასეთი ლამაზი და შთამბეჭდავი ყოფილიყო. როგორც შევძლებთ, ყოველთვის აღვნიშნავთ სოფიკოს დაბადების დღეს. ის იყო შეუდარებელი და შეუცვლელი დიასახლისი, ყოველთვის დღესასწაულებს აწყობდა თავის დაბადების დღეზე. ჩვენ შევეცადეთ მოკრძალებულად აღგვენიშნა მისი დაბადების დღე. გარდა იმისა, რომ ის ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო, საოცარი მსახიობიც გახლდათ. ეს ტრადიცია არასოდეს არ უნდა დაიკარგოს და სოფიკოს დაბადების დღე მომავალმა თაობებმაც უნდა აღნიშნონ.

ნიკოლოზ რაჭველი, დირიჟორი:

– ის ჩვენგან არ წასულა, ის ყოველთვის ჩვენთან არის, მთავარია მოვინდომოთ და მას აუცილებლად შევიგრძნობთ. მისი ფილმები, მისი როლები, მისი ნამუშევრები დღესაც აქამდე დაუვიწყარი და გასაოცარია. შეუძლებელია დაივიწყო სოფიკო, მას ჩვენ ისევე შევიგრძნობთ, როგორც მაშინ, როცა ჩვენს გვერდით დააბიჯებდა ამ ქალაქში. რაც შეეხება გამოფენას, ნამდვილად არაჩვეულებრივია, არ არის დარჩენილი მისი არც ერთი მნიშვნელოვანი როლი ყურადღების მიღმა დატოვებული. ის იყო ადამიანი, რომელიც დღესასწაულს უწყობდა ყველას, ვინც მის გარშემო ტრიალებდა.

კახი კავსაძე, მსახიობი:

– სოფიკო ჩემი ბავშვობის მეგობარია, ჩვენ ბევრი წელი გავატარეთ ერთად. ორი წელი იყო ჩვენ შორის განსხვავება, მაგრამ ეს სულაც არ გვიშლიდა ხელს იმაში, რომ გვემეგობრა და იმის შემდეგ კოლეგებიც გავხდით. მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ. საოცარი ადამიანი იყო, მასზე ყველა დადებითად ლაპარაკობს, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, სოფიკო მართლაც განუმეორებელი იყო და ეს გამოფენაც ამის დამადასტურებელია. სოფიკო მართლაც იყო დიდი ადამიანი, საოცარი პიროვნება, საყვარელი, ძვირფასი მსახიობი, საზოგადოებისთვის გამორჩეულად საყვარელი. დიდი ადამიანი იყო იმიტომ, რომ ჩემი მეგობარი იყო და ამაზე სულ ვხუმრობდით ხოლმე. ყველას ვუხდი დიდ მადლობას მისი სახელით, ვინც აქ მოვიდა და ის კიდევ ერთხელ გაიხსენა.

ნიკუშა შენგელაია, სოფიკოს შვილი:

– დღეს სოფიკო 76 წლის გახდებოდა, სამწუხაროდ, ის დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის, მაგრამ მან თავისი კვალი დატოვა ქართულ თეატრსა და კინოში, ასევე ჩვენშიც თავისი ცხოვრებით, თავისი თვისებებით, თავისი პიროვნებით. ყველა ის სითბო, რაც მან დატოვა ქართველ საზოგადოებაში, უკან დაიბრუნა კიდეც – ქართველი საზოგადოებისგან ამ გამოფენაზე სტუმრობით. მუზეუმმა შემოგვთავაზა, რომ 76 ფოტო გამოგვეფინა სოფიკოსი თეატრიდან, კინოდან, პირადი ცხოვრებიდან, რადგან ის 76 წლის გახდებოდა. ეს სიმბოლურია და თანაც საკმაოდ ორიგინალური. კულტურის სამინისტრომ და მუზეუმმა გადაწყვიტეს ასეთი გამოფენის მოწყობა და ჩვენც უარი არ გვითქვამს. დიდი მადლობა ყველას, ვისაც სოფიკო ახსოვს და მომავალშიც ემახსოვრება.

გიორგი კალანდია, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი:

– სოფიკო ჭიაურელის გარეშე ქართული თეატრი და კინო წარმოუდგენელია. ჩვენ გადავწყვიტეთ მის 76-ე დაბადების დღეზე სიმბოლურად 76 ფოტო გამოგვეფინა თეატრიდან, კინოდან, პირადი ცხოვრებიდან. მუზეუმის უკვდავთა თაღში გაიხსნა პირველი ჰორელიეფი, რომელიც სოფიკო ჭიაურელს ეკუთვნის და ნებისმიერი დამთვალიერებელი გაივლის ამ ბაღს, სანამ მუზეუმში მოხვდება. ეს ძალიან კარგი ტრადიციაა. სოფიკო ჭიაურელი არის პირველი ქალი, ვისი ჰორელიეფიც ამ მუზეუმში გაიხსნა და ეს ტრადიცია აუცილებლად მომავალშიც გაგრძელდება.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში
— სხვადასხვა — საქველმოქმედო —
ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, ნითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბრონაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

უკრაინაში ავთანდილ კაპანაძე გაიხსენეს

უკრაინულ მედიაში გამოქვეყნდა ინტერვიუ ავთანდილ კაპანაძესთან. ბევრისთვის ეს სახელი და გვარი შეიძლება არაფერს ამბობდეს, ამიტომ რამდენიმე სიტყვით გიამბობთ. ავთანდილი და მისი ტყუპისცალი ტარიელი უკრაინის ჩემპიონატში თამაშობდნენ.

ავთანდილს შეპეტოვკის „ტემპისა“ და ტერნოპოლის „ნივას“ შემადგენლობაში უთამაშია და უკრაინის უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. სხვათა შორის, „ნივას“ ისტორიული გამარჯვება აქვს მოპოვებული ვალერი ლობანოვსკის მიერ გაწვრთნილ კიევის „დინამოსთან“და ერთადერთი გოლის ავტორი სწორედ კაპანაძე აღმოჩნდა.

მან უკრაინის უმაღლეს ლიგაში 189 მატჩი ჩაატარა და 57 გოლი გაიტანა. პირველ ლიგაში კი, 21 თამაშში მეტოქეთა კარი 3-ჯერ აიღო. დღეს-დღეობით ავთანდილ კაპანაძე, რომელმაც კარიერა 42 წლის ასაკში დაასრულა, ნიჟნი ნოვგოროდში ცხოვრობს და ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში მუშაობს.

– ალბათ, მამის დამსახურებაა, რომ თქვენ და თქვენი ტყუპისცალი ტარიელი ფეხბურთელები გახდით.

– დიახ. სწორედ მამამ მიგვიყვანა საფეხბურთო სექციაში. ძმასთან ერთად მთელი ბავშვობა დილიდან საღამომდე ფეხბურთს ვთამაშობდით.

– ვარჯიში ძმის გარეშე რომ დაგეწყოთ, თქვენი საფეხბურთო გზა რამდენად შეიცვლებოდა?

– რთული წარმოსადგენია, მის გარეშე რას გავაკეთებდი. ჩვენ მუდამ ერთად ვიყავით – ბავშვთა გუნდებიდან დაწყებული კარიერის დასრულებამდე.

– იყო შემთხვევები, როდესაც თამაში სხვადასხვა გუნდებში მოგიწიათ?

– ასეთი რამ ერთხელ მოხდა. ჩვენ თბილისის „ლოკომოტივში“ ვთამაშობდით და ტარიელი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. ჩემი ძმა ნოდარ ახალკაცის წინადადებას დათანხმდა. მან დუბლშემადგენლობაში ითამაშა და დებიუტი უკვე სასტარტო შემადგენლობაში უნდა ჰქონოდა. თუმცა, იმ დროს „დინამოში“ მთავარი მწვრთნელი შეიცვალა – ახალკაცის მაგივრად გუნდი დავით ყიფიანმა ჩაიბარა. ახალ მწვრთნელს ყოველთვის ახალი ფეხბურთელები მოჰყავს და თამაშის თავისი ხედვა აქვს.

– „ლოკომოტივში“ გატარებული რამდენიმე სეზონის შემდეგ, ლანჩხუთის „გურიაში“ მიგიწვიეს. თუმცა, იქ მაისური მხოლოდ ორჯერ მოირგეთ.

– ამ გუნდში ბევრი არ მითამაშია, მაგრამ მხოლოდ კარგი მოგონებები დაგვრჩა. „გურიაში“ უკრაინელი გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობ ვიქტორ ხლუსს დავუმეგობრდი. „გურიადან“ წასვლის შემდეგ, მე და ტარიელი ქუთაისის „ტორპედოში“ ჩავირიცხეთ. არც იქ გაგვიმართლა, რადგან ვოროშილოვგრადში „ზარიასთან“ მატჩში ხელი მოვიტეხე, ხოლო ტარიელი გააძევეს და 10-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. შემდეგ ჩვენს კარიერაში იყო რუსთავის „გორდა“. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდისთვის საქართველოს ნაკრებში უკვე ამხანაგური მატჩი მქონდა ჩატარებული.

– უკრაინაში როგორ მოხვდით?

– ალექსანდრე ჩივაძის დამსახურებით. მან გვითხრა, რომ უკრაინაში კარიერის გაგრძელების ვარიანტი იყო. ბედის საცდელად ერთბაშად ექვსნი გავეშურეთ. შეპეტოვკაში ბრძოლისუნარიან გუნდს აყალიბებდნენ. ადგილობრივმა ბიზნესმენმა ჯუმბერ ნიშნიანიძემ თავისებური პროექტი ჩაიფიქრა. ის ამ საქმეში აღმომჩენად შეიძლება მივიჩნიოთ. შეპეტოვკის „ტემპმა“ არცთუ ცუდად დაიწყო თავისი საფეხბურთო გზა და უმაღლეს ლიგაშიც თამაშობდა. სამწუხაროდ, გასული მარტის ბოლოს ჯუმბერი გარდაიცვალა...

– შეპეტოვკელ ბიზნესმენზე ბევრ ისტორიას გაიგებ. მის შესახებ რას იტყვით?

– პირველ ყოვლისა, ნიშნიანიძე ჩემი ნათესავი იყო. ჩემი მეუღლე მისი ძმისშვილია. ჯუმბერი საფეხბურთო გუნდს ძმასთან ერთად ქმნიდა. ჩვენ ზოგჯერ ერთმანეთს ტელეფონით ვესაუბრებოდით. ვიცი, რომ დიაბეტი ჰქონდა და ბოლოს ყირიმის საავადმყოფოში იწვა. სამწუხაროდ, ჯუმბერი ვერ გადაარჩინეს.

– წარმატებული ხელმძღვანელის წყალობით, „ტემპში“ ძალიან საინტერესო შემადგენლობა შეიკრიბა – ოლეგ კოლესოვი, გიორგი ჩიხრაძე, არსენ ავაქოვი, გეორგი კონდრატიევი, სერგეი სკაჩენკო.

– მართლაც, ნებისმიერი ფეხბურთელი პროფესიონალი იყო. მწვრთნელშიც გაგვიმართლა. ლეონიდ ტკაჩენკომ არცთუ ცუდი გუნდი ჩამოაყალიბა.

– გუნდი ავტონომიურ დაჯგუფებებად იყო გაყოფილი – ადგილობრივი ფეხბურთელები, ქართველები, სხვა ლეგიონერები?

– დაამატეთ ხარკოველი ბიჭები, რომლებიც ტკაჩენკოსთან ერთად ჩამოვიდნენ. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთელებს შორის რაიმე კონფლიქტი არ მახსენდება. შეკრული გუნდი გვყავდა და შიგნით საუცხოო ატმოსფერო იყო.

– ბუნებრივია, ახლაც გახსოვთ 20 წლის წინანდელი მატჩი, როდესაც შეპეტოვკაში კიევის „დინამო“ ჩავიდა და 1:0 გაიმარჯვა. იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ სტადიონზე 20.000 გულშემატკივარი შეიკრიბა, გამოდის ქალაქის ყოველი მეორე მაცხოვრებელი თამაშს დაესწრო.

– რა თქმა უნდა, მახსოვს. პატარა სტადიონი გვქონდა და ხალხი იქაც კი განთავსდა, სადაც დასაჯდომი ადგილები არ იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ისინი ყველგან იყვნენ. ასეთი მხარდაჭერის დროს თამაში ადვილია. აღსანიშნავია, რომ ხალხი თამაშის სანახავად ახლომახლო ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოვიდა. ჩემთვის უფრო დასამახსოვრებელი „დინამოსთან“ ჩატარებული თამაშია, როდესაც ტერნოპოლში გამოვდიოდი.

– „დინამოსთან“ თამაშიდან მალევე „ტემპმა“ დონეცკის „შახტარი“ 3:1 დაამარცხა და ერთი გოლი გაიტანეთ. დონეცკური გუნდის ამჟამინდელი გამოსვლის გათვალისწინებით, გთავისებული გაქვთ იმ გამარჯვებებისა და გოლების მნიშვნელობა?

– რა თქმა უნდა. „შახტარი“ უკვე მაშინ ძლიერი გუნდი იყო და ახლა უფრო გაძლიერდა. დონეცკელებს მაღალი დონის ლეგიონერები ჰყავთ. მათი თამაშის ყურება გსიამოვნებს.

– 1995 წელს, გუნდს სათავეში თქვენი თანამემამულე რევაზ ძოძუაშვილი ჩაუდგა. მასთან ერთად შეპეტოვკაში ქართველები მრავლად ჩამოვიდნენ. „ვოლინის“ წინააღმდეგ მატჩში „ტემპის“ შემადგენლობაში მოედანზე 10 ქართველი ფეხბურთელი გავიდა. თქვენ სწავლობდით რუსულ-უკრაინულს თუ ადგილობრივი ფეხბურთელები ქართულს სწავლობდნენ?

– რევაზს ადრეც ვიცნობდი. ცხადია, კარგია, როდესაც გუნდში შენი თანამემამულეები არიან. თუმცა, რა საჭირო იყო ამდენი ქართველის ჩამოყვანა? ზოგიერთი ახალწვეული არცთუ ცუდად თამაშობდა, მაგრამ „შემთხვევითი მგზავრებიც“ იყვნენ. რა საჭიროა ლეგიონერების მიწვევა, თუ ისინი ადგილობრივებს არაფრით სჯობიან. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ქართულ გუნდში 10 უკრაინელი ლეგიონერი?

– საბოლოოდ, „ტემპი“ ფულის არქონის გამო დაიშალა?

– ნიშნიანიძეს მუდმივად გუნდის შენახვა საკუთარი ჯიბიდან არ შეეძლო. ქალაქის ხელმძღვანელობა საერთოდ არ ეხმარებოდა. ჯუმბერს როგორც შეეძლო ინფრასტრუქტურას ავითარებდა. ჩვენ შეპეტოვკიდან 7 კილომეტრის დაშორებით საკუთარი საწვრთნელი ბაზა გვქონდა. თუმცა, ეს საკმარისი არ იყო.

– ტერნოპოლის „ნივა“ კაპანაძეებისთვის ცხოვრების გუნდი გახდა, ხოლო კაპანაძეებმა „ნივას“ ისტორიაში ყველაზე ნათელი ფურცელი ჩაწერეს.

– შემიძლია ვთქვა, რომ ტერნოპოლში აბსოლუტურად ბედნიერი ვიყავი. გუნდი, ქალაქი, გულშემატკივრები... ყველაფერი ერთმანეთს აეწყო.

– შემადგენლობაც კარგი გყავდათ: კურაევი, ბისკუპი, ტურიანსკი, დემიანჩუკი, რუდნიცკი...

– არ დაგავიწყდეთ მთავარი მწვრთნელი იგორ იავორსკი. სხვათა შორის, ორი წლის წინ ტერნოპოლში ვიყავი და ორივე იგორი ვნახე – იავორსკი და ბისკუპი.

– 1997 წლის აპრილი ტერნოპოლური ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. კიევის „დინამომ“, რომელსაც ვალერი ლობანოვსკი ხელმძღვანელობდა, ადგილობრივ „ნივასთან“ 0:1 წაადგო და ერთადერთი გოლი ალექსანდრ შოვკოვსკის კარში თქვენ გაიტანეთ.

– თუ არ ვცდები, „დინამოს“ კარში საერთო ჯამში 6 გოლი გამიტანია. მახსოვს, საშინელი წვიმა იყო და მოედანი ჭაობს დაემსგავსა. ამ თამაშიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უკრაინის ნაკრები ბრემენში გერმანიას ეთამაშა და უკრაინელთა სასტარტოში „დინამოს“ 8 ფეხბურთელი იყო. საგოლე პასი სერგეი ტურიანსკიმ მომცა. თამაშის მერე ლობანოვსკის ჰკითხეს, თუ რა შთაბეჭდილება დარჩა. ვალერი ვასილიჩმა უპასუხა – ჩვენ უკრაინის ყველაზე ძლიერ გუნდთან დავმარცხდით.

– თქვენ ბევრი გოლი გაგქონდათ და ამას ძალიან სადად აკეთებდით. იყო პერიოდი, როდესაც ზედიზედ 6 მატჩში გაიტანეთ.

– ყველაფერი კარგად მიდიოდა როგორც ჩემთვის, ასევე გუნდისთვის. პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ – „ნივაში“ ფლანგის ნახევარმცველად მივედი. თუმცა, ტრავმა მივიღე და რამდენიმე დღით ტერნოპოლიდან წავედი. როდესაც გამოვჯანმრთელდი, იავორსკიმ ერთი თამაში თავდასხმაში დამაყენა სერგეი შიშჩენკოს ნაცვლად. თუ არ ვცდები, ცსკა-ს სტუმრად ვეთამაშებოდით და გოლი გავიტანე. შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. სხვათა შორის, ჩემს ძმას ტარიელს თავდასხმაში თამაში არ შეეძლო.

– ტერნოპოლში თამაშის პერიოდში, ალბათ, ქუჩაში ყველა გცნობდათ.

– დიახ, ხალხი მცნობდა. ეს ძალიან მეხმარებოდა ავტოინსპექტორებთან უსიამოვნო ისტორიებში. როდესაც მილიციონერები მცნობდნენ, მაშინვე მიშვებდნენ. ხან მართვის მოწმობა დამრჩენია, ხან მოძრაობის წესები დამირღვევია – ყველაფერს მპატიობდნენ. როდესაც რუსეთის საზღვართან ვიყავი, იქაც კი მიცნეს.

– არცთუ ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, მუდმივად უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირებს შორის იყავით და ისეთ ფეხბურთელებთან მეტოქეობდით, როგორიც ანდრეი შევჩენკო და სერგეი რებროვი არიან.

– ისინი უდიდესი ფეხბურთელები არიან. მართლაც, მაღალი დონის მოთამაშეები, რომელთაც საკუთარი კლასი ევროპაშიც დაამტკიცეს.

– უკრაინელი მცველები ფეხებში მაგრად გირტყამდნენ?

– ძალიან ძნელი იყო თამაში „შახტარისა“ და „დინამოს“ მცველების წინააღმდეგ, რომლებიც ფიზიკურად ძლიერები და ხისტები იყვნენ, თან გასაქანს არ გაძლევდნენ. აღვნიშნავ კალაძესა და ვაჩშუკს. მათ წინააღმდეგ თამაში რთული იყო.

– მსაჯები „ნივას“ ხშირად ჩაგრავდნენ?

– კონკრეტულ მატჩს ვერ გავიხსენებ, მაგრამ სხვადასხვა სიტუაციები იყო – ხან ჯარიმას დადებდნენ ისეთს, რომ არ იყო, ხან პენალტს. სხვათა შორის, როდესაც აღმოსავლეთ უკრაინაში ჩავდიოდით, „ბენდერებს“ გვეძახდნენ. ამ სიტყვაში ცუდი არაფერია. მართალია, მთლად „ბენდერა“ არ ვარ, მაგრამ ამას პოზიტიურად აღვიქვამ.

– თუ შეპეტოვკაში გუნდს ნიშნიანიძეს ხელმძღვანელობდა, „ნივას“ მეპატრონე ვინ იყო?

– თავდაპირველად პრეზიდენტი ვლადიმირ კოვალი იყო. შემდეგ კლუბს ვლადიმირ მარინოვსკი ხელმძღვანელობდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში „ნივას“ პრეზიდენტი ალექსანდრ კრივოი იყო. სხვათა შორის, მარინოვსკის ორ ბიზნესმენთან – რუსლან იზორიასა და ავთანდილ მდინარაძესთან მეგობრობდა. მათ არც კი იცოდნენ, ტერნოპოლში სტადიონი სად იყო. თუმცა, ჩვენს ერთ თამაშს დაესწრნენ და მოეწონათ. მას შემდეგ იზორია და მდინარაძე „ნივას“ ხელმძღვანელობენ. თუმცა, ნიშნიანიძესთან შედარებით განსხვავება ისაა, რომ ტერნოპოლელი ბიზნესმენები ფულს თავისი ჯიბიდან არ ხარჯავენ.

შედეგები

ფეხბურთი

ჩეხეთი. გამბჰინუსლიგა

ჰრადეც კრალოვე-პრჟიბრჟამი 0:0

ლიბერეცი-ტეპლიცე 3:1

ნოჰვეგია. ტიპეღიგა

სარპსბორგი-ვალერენგა 3:3

ულფი-ვიკინგი 0:1

კალათბურთი

ნბა. პღეი ოფი

სან ანტონიო-მემფისი ..... 93:89(ოტ)

სეჩიის ანგახიში: 2:0

ჰოკეი

ნჰღ. პღეი ოფები

რეინჯერსი-ბოსტონი 1:2

სეჩიის ანგახიში: 3:0

სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:1

სეჩიის ანგახიში: 2:2

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

ოლიმპმა სერია გაათანაბრა

ოლიმპი – შსს აკადემია 86:65

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა „ოლიმპმა“ ფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა. ოლიმპელებმა პირველი მატჩისგან რადიკალურად განსხვავებული კალათბურთი ითამაშეს – ეს როგორც შეტევაზე, ისე დაცვაზე ითქმის. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდმა მესამე მეოთხედამდე მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა „ოლიმპის“ ტემპს და შედეგიან თამაშს ეფექტური ვერაფერი დაუპირისპირა და საბოლოოდ 21 ქულის სხვაობით – 65:86 დამარცხდა.

გია კაზანჯიანმა გუნდი წინა მატჩისგან განსხვავებული ტაქტიკით ათამაშა. „ოლიმპმა“ შეხვედრა 2 ტანმაღალი კალათბურთელით დაიწყო. სტეფან მილოშევიჩისა და აკაკი დვალიშვილის ტანდემი ფარქვეშ კარგად მოქმედებდა, რასაც უკანახაზელ სტენ სოკის ზუსტი სამქულიანებიც დაერთო და ოლიმპელებმა პირველი მეოთხედი 25:20 მოიგეს.

„შსს-აკადემიაში“ კარგად ირჯებოდა ბენჯამინ რეიმონდი, რომელიც პერიმეტრიდან და ფარის სიახლოვედან მიზანს ზუსტად ლაშქრავდა, რითიც გიორგი კეცელიდისის გუნდი მეტოქესთან დისტანციას ინარჩუნებდა. რეიმონდს მხარი აუბა აკადემიელთა ბერძენმა ლეგიონერმა ვასილის კუნასმა, რომელიც შედეგიან გადაცემებსაც არიგებდა და მიჯრით 5 ქულა მიითვალა. შსს-ს ლეგიონერთა აქტიურობას ანგარიშის გათანაბრება მოჰყვა, თუმცა ძალთა ბალანსი მოედანზე გამოსულმა დარენ მურმა დაარღვია, რომელმაც პირველი ტაიმის ბოლოს 3 ზუსტი გარღვევა განახორციელა და ოლიმპელები დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 49:42.

მესამე მეოთხედში ფარქვეშ ისევ მილოშევიჩ-დვალიშვილის ეგრედ წოდებული „ორმაგი კოშკი“ გაბატონდა, ხოლო დერონ მურმა სწრაფი და რაც მთავარია, შედეგიანი თამაში განაგრძო და სწორედ ეს მომენტი გახდა გარდამტები. დვალიშვილის ულამაზესი ჩატენვის შემდეგ „ოლიმპის“ უპირატესობამ 12 ქულას მიაღწია – 57:45.

„შსს-აკადემიას“ მოთამაშეები ყველაფერს ცდილობდნენ, მაგრამ ოლიმპელთა დაცვა უშეცდომოდ თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ წინ მთელი 10 წუთი იყო, გიორგის კეცელიდისის გუნდმა ვერაფერი შეცვალა და მატჩი საფინალო სირენამდე რამდენიმე წუთით ადრე წაგო.

ოლიმპელებს 17 ქულითა და 10 მოხსნით ლევან ფაცაციამ ულიდერა, თუმცა გამარჯვებაში არანაკლები წვლილი შეიტანეს დერონ მურმა (15 ქულა), სტენ სოკმა (17 ქულა) და მილოშევიჩმა (7 ქულა, 10 მოხსნა). „შსს-აკადემიაში“ 21 ქულით საუკეთესო იყო ბენჯამინ რეიმონდი, ხოლო დენოტა ვონმა და კირკ არჩიბეკმა 12-12 ქულა მოაგროვეს.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩზე ანტიდოპინგურმა სააგენტომ მოთამაშეთა ტესტირება ჩაატარა.

მატჩის შემდეგ

გია კაზანჯიანი (ოლიმპი):

– მინდა მივულოცო ჩემს გუნდს გამარჯვება, სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, განსაკუთრებით დაცვაში, 65 ქულა გავუშვით და ეს შსს აკადემიის დონის გუნდთან ძალიან კარგი შედეგია. ამ პარამეტრში 70-ზე მეტ ქულას თუ არ გავუშვებთ, ნებისმიერი თამაშის მოგება შეგვიძლია. განვიხილეთ პირველი მატჩი, სადაც ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, ვიდეოანალიზის შემდეგ მივხვდით, როგორი დაცვა უნდა გვეთამაშა. შედეგიც სახეზეა და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. დავამატებ, რომ ჯარიმების ასეთი პროცენტით ძალიან გაგვიჭირდება.

გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):

– დღევანდელი თამაშით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. მეოთხე პერიოდი ძალიან ცუდად დავიწყეთ, მოწინააღმდეგემ მშვენივრად იასპარეზა და ვულოცავ გამარჯვებას.

სტენ სოკი (ოლიმპი):

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ. შსს-ს წინააღმდეგ თამაში არასდროს არაა ადვილი, ყოველთვის რამდენიმე ქულით ვიგებთ ან ვაგებთ. დღეს კარგი სტარტი გვქონდა, პირველ მატჩში ზედმეტად ვნერვიულობდით. მეორეში კი, უფრო მობილიზებულები და მონდომებულები ვიყავით. ძალიან რთული თამაშები გველის და პირველივე წამებიდან მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვითამაშოთ.

რეზო როგავა (შსს აკადემია):

– სეზონის განმავლობაში ყველაზე ცუდი დაცვა ვითამაშეთ, არაფერი გამოგვივიდა, შეტევაშიც ვერ გამოვიჩინეთ თავი, მხოლოდ 65 ქულა ჩავაგდეთ. თუმცა ვხვდებით, რომ ფინალში ორი ძლიერი გუნდიდან ის გაიმარჯვებს, რომელიც შეძლებს ცუდი თამაშის შემდეგ სწორ ანალიზს, მომზადებას და უკეთესად ასპარეზობას. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სერია ჩვენს სასარგებლოდ დავამთავროთ.

იბრაჰიმოვიჩი საფრანგეთში საუკეთესოა

საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად „პარი სენ-ჟერმენის“ შვედი თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი აღიარა. პირველობის ბომბარდირმა, რომელმაც 2012-13 წლების სეზონში 29 გოლი გაიტანა და გოლეადორის ტიტული მოიპოვა, თანაგუნდელებს ტიაგო სილვას და ბლაიზე მატუიდის აჯობა, ასევე „სენტ-ეტიენის“ წევრს პიერ-ემერიკ ობამეიანგს.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი:

– ჩემთვის ეს ტიტული დიდი პატივია! აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს გამარჯვება ყველა ჩემი თანაგუნდელის დამსახურებაა. მე მათი მადლობელი ვარ!

31 წლის სკანდინავიელი წლის საუკეთესო ფეხბურთელად საფრანგეთში პირველად აღიარეს, გასულ წლებში კი ეს ტიტული სამშობლოში 7-ჯერ მოიპოვა, იტალიაში კი 3-ჯერ.

ცნობისათვის: ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ჩემპიონის ტიტული მე-4 ქვეყანაში მოიგო. ის 2-ჯერ გახდა ჰოლანდიის პირველობის გამარჯვებული, 6-ჯერ მოიპოვა სერია ა-ს სკუდეტო, თითოჯერ კი ესპანეთის და საფრანგეთის ჩემპიონატებში იმარჯვა.

„პარი სენ-ჟერმენის“ იტალიელი თავკაცი კარლო ანჩელოტი წლის მწვრთნელი გახდა. მან ეს ტიტული „სენტ-ეტიენის“ დამრიგებელ კრისტოფ გოტიესთან გაიყო. ანჩელოტი-მწვრთნელმა კარიერაში მესამე ქვეყნის პირველობა მოიგო: აქამდე მან იტალიის სერია ა-ში (2004, მილანი), და ინგლისის პრემიერლიგაში (2010, ჩელსი) იმარჯვა.

გურამ თამაზაშვილის ხსოვნას კონცერტი მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

28 მაისს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გაიმართება „ქართული ხმების“ ერთ-ერთი გამორჩეული წევრის გურამ თამაზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი.

კონცერტი ტარდება ხელოვნების ფესტივალის „ქართული სული 2013“ ფარგლებში. ფესტივალი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 30 წლისთავს ეძღვნება.

– გურამ თამაზაშვილს ანსამბლ ,,ქართული ხმების“ გამორჩეულ წევრსა და სოლისტს, ანსამბლ „ალილოს“ დამაარსებელს, დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღის აღსანიშნავად გამართულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მისი მეგობრები და მშობლიური ანსამბლები „ქართული ხმები“ და „ალილო“, – აღნიშნულია თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის განცხადებაში.

გურამ თამაზაშვილი 55 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის გამო სეფსისის ცენტრში გარდაიცვალა. იგი თბილისში ერთ-ერთ ტაძარში დაასვენეს და სამოქალაქო პანაშვიდის გამართვის შემდეგ ქობულეთში გადაასვენეს და მშობლიურ ხუცუბანში დაკრძალეს. რადგან გურამ თამაზაშვილმა მთელი ცხოვრება ქართულ სიმღერას მიუძღვნა, უკანასკნელ გზაზე ამიტომაც სიმბოლურად „მრავალჟამიერითა“ და ტაშით გააცილეს.

„ქართული ხმებს“ შემოქმედებითი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში 4 უძლიერესი მომღერალი გამოაკლდა. შეიძლება თამამად ითქვას, ოთხივე უნიკალური ხმისა და ნიჭის მქონე მომღერალი იყო. „ქართული ხმების“ საყოველთაო აღიარებასა და სიყვარულში ოთხივეს ღომის წილი მიუძღვის: გოგი დოლიძე (გარდაიცვალა 1996 წელს), დავით გოგიაშვილი (გარდაიცვალა 1999 წელს), გურამ თამაზაშვილი (გარდაიცვალა 2009 წელს) და ზაურ ბოლქვაძე (გარდაიცვალა 2010 წელს).

„ქართული ხმების“ დაარსების ოფიციალურ თარიღად 1986 წელი ითვლება, თუმცა მისი დამფუძნებელი წევრების უმეტეს ნაწილს ერთმანეთთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. ისინი ჯერ კიდევ 1979 წლიდან ერთად მუშაობდნენ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო სახელმწიფო კომიტეტში. ამის გამო მათ საკმაო ხანს „ჟურნალისტებს“ ეძახდნენ. 1991 წლიდან ანსამბლს ფრანგი იმპრესარიოს თხოვნით დაერქვა „ქართული ხმები“ და ამ სახელით დაიწყო ანსამბლის აღმასვლა. იმ პერიოდიდან დღემდე ანსამბლი ამ სახელით ატარებს კონცერტებს და თანდათან იპყრობს მსოფლიოს ცნობილი ქალაქების საკონცერტო დარბაზებს.

საკმაო ხანს ანსამბლის წევრები მათი ძირითადი საქმიანობის გამო წელიწადში მხოლოდ ორჯერ ახერხებდნენ საგასტროლოდ გამგზავრებას, მაგრამ მათ მაინც შეძლეს თითქმის ნახევარი მსოფლიოს სიმღერით შემოვლა და ყველგან ქართული სასიმღერო კულტურის ღრმა ნაკვალევის დატოვება.

– ანსამბლის რეპერტუარი მეტად მრავალფეროვანია და სცილდება მხოლოდ ტრადიციულ სიმღერას. თუმცა, რეპერტუარის ძირითადი ბირთვი სწორედ რომ ქართული ხალხური სიმღერებია, რომელთა მღერასაც „ქართული ხმები“ პირველყოფილი სიწმინდით ცდილობს და უმეტესწილად ამას ახერხებს კიდეც. საყოველთაო აზრით „ქართული ხმების“ ნამღერიდან მოდის საოცარი შინაგანი ენერგია, რომელიც აუცილებლად გადადის ხოლმე დარბაზზე და ნებისმიერ მსმენელს ემოციურად მუხტავს, – განმარტავენ ღონისძიების ორგანიზატორები.

ანსამბლის წევრები თვლიან, რომ ეს ემოცია და ენერგია ყველაზე მძლავრად მაშინ იგრძნობა, როცა, როცა მსმენელისა და ანსამბლის კონტაქტი ბუნებრივი ჟღერადობით ხდება, ყოველგვარი ელექტრონული ჩარევისა და ხმის გამაძლიერებლების გარეშე. ამიტომ „ქართული ხმები“ ცდილობს კონცერტები ძირითადად კამერულ დარბაზებსა და ეკლესიებში ჩაატაროს. „ქართულ ხმებს“ კონცერტები ჩატარებული აქვს გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში, ისრაელში მდებარე უძველეს საკონცერტო დარბაზებსა თუ ტაძრებში. მიუხედავად იმისა, რომ მათ კონცერტების ჩატარება კამერულ დარბაზებსა და ეკლესიებში ურჩევნიათ, თუ სიტუაცია ითხოვს, ანსამბლი არც დიდ, თუნდაც გრანდიოზულ დარბაზებს გაურბის და არც ღია ცის ქვეშ სიმღერას. უბრალოდ, ასეთ დროს ანსამბლის რეპერტუარიც და სიმღერის მანერაც მკვეთრად იცვლება.

ამჯერად „ქართული ხმები“ 28 მაისს შეიკრიბებიან და მათი წევრის გურამ თამაზაშვილის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მეგობრებთან ერთად ხსოვნის საღამოს გამართავენ.

რა ღონისძიებებია დაგეგმილი 26 მაისს?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კობახიძის მონაწილეობით და ამასთანავე გამოიფინება მხატვარ სოსო წერეთლის ნახატები, – აცხადებენ თბილისის მერიაში.

ღონისძიებების მხარდაჭერის სურვილი გამოთქვეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტმა, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა, თიბისი ბანკმა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ.

– ფორევარ არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირია, რომლის ძირითადი მიზნებია საქართველოს ისტორიის კვლევა, ანალიზი, განზოგადება და სხვადასხვა ფორმით მიწოდება საზოგადოების ფართო ნაწილისათვის; საქართველოს საზოგადო მოღვაწეებისა და სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლების ღვაწლისა და დამსახურების შესწავლა, წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობებისთვის; საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციების კვლევა, წარმოჩენა და მათი შენარჩუნების ხელშეწყობა; სამოქალაქო მონაწილეობის გააქტიურება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში; საქართველოს განვითარების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების მხარდაჭერა, შესწავლა, ანალიზი და განზოგადება; სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა დაახლოება, მათი ღვაწლისა და ინიციატივების წარმოჩენის ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, – აღნიშნულია განცხადებაში.

წელს 26 მაისის ეგიდით კვლავაც ჩატარდება ყვავილების ფესტივალი, რომელიც დედაქალაქისთვის ბოლო წლების განმავლობაში ტრადიციად იქცა. წელს პირველად ყვავილების ფესტივალი ორი დღის განმავლობაში, 25-26 მაისს, სიონის ქუჩის, სიონის სკვერის, ბამბის რიგისა და კინოს მოედნის ტერიტორიაზე გაიმართება.

ორდღიანი ბაზრობის ფარგლებში მოეწყობა საქართველოში წარმოებული თუ იმპორტირებული მცენარეების, ბაღის ფურნიტურის, ხის მერქნისაგან, გამხმარი ყვავილებისა თუ ფოთლებისგან შექმნილი კომპოზიციების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც გამწვანების ყველაზე მსხვილი კომპანიები, ასევე მცირე ზომის სანერგეები, პროფესიონალი ფლორისტები, ყვავილების მაღაზიები და კერძო კოლექციონერები. ფესტივალზე ყვავილების 70-მდე კერძო კოლექცია იქნება წარმოდგენილი.

საფესტივალო ყვავილების ბაზრობა 25-26 მაისს 10:00-დან 19:00-მდე იმუშავებს. დამთვალიერებლებსა თუ ყვავილების შეძენის მსურველებს მთელი დღის მანძილზე მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები და კვალიფიციური ფლორისტ-კონსულტანტები მოემსახურებიან. ცოცხალი მცენარეები, იშვიათი ჯიშის ქოთნის ყვავილები, მარადმწვანე, დეკორატიული ხეები, გამოყენებითი ნივთები, სუვენირები, სამკაულები, თექაში, ხეში, ლითონსა და თიხაში შესრულებული ნამუშევრების მრავალფეროვნება მიმზიდველი იქნება არა მარტო თბილისის მაცხოვრებლებისთვის, არამედ უცხოელი სტუმრებისთვისაც.

– 26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს. 1917 წლის რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა. საქართველოში ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდა. ეროვნული საბჭოს დადგენილების 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია. 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყნის ანექსირება მოახდინა. ხელისუფლება იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო. ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დამყარდა. საქართველო იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირში. დამოუკიდებლობაწართმეული ქვეყანა 70 წელი ელოდა თავისუფლების ხელმეორედ მოპოვებას. დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს თბილისში ეწყობა მშვიდობიანი აქციები. საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის მოთხოვნით 1989 წლის აპრილში თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციები ეწყობოდა. მშვიდობიანი მიტინგი 9 აპრილს, გამთენიისას სასტიკად დაარბია საბჭოთა არმიამ, რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა. ტრაგედიის მიუხედავად, ბრძოლა ქვეყნისთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მოსაპოვებლად მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა. 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი. საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. ამავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი საბჭოს პირველ სესიაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი შევიდა ძალაში. ხოლო 26 მაისს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები და ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1991 წლიდან მოყოლებული 26 მაისს ქვეყნის მოსახლეობას საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს, – განმარტავენ თბილისის მერიაში.

წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე კიევშიც იზეიმეს, სადაც ქართული კულტურის IV ფესტივალი ჩატარდა. ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის 22-ე წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალის ფარგლებში უკრაინაში პირველი ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა, რომელიც კიევის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ბაზაზე იფუნქციონირებს.

– უკრაინის შეიარაღებული ძალების დიდ საკონცერტო დარბაზში, ფესტივალის საზეიმო კონცერტი გაიმართა, სადაც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის კოლექტივებთან ერთად ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა – თეატრალურის კვარტეტმა, ოთო ნემსაძემ, ლადო დონღუვანმა და გიორგი ჩიტაურმა მიიღეს მონაწილეობა. ქართული კულტურის მეოთხე ფესტივალს უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“ სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგია“-ს, უკრაინის კულტურის სამინისტროსა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს თანადგომით გაიმართა, – განაცხადა ფესტივალის კურატორმა ანა სორდია-კრავჩუკმა.

მისივე თქმით, ფესტივალს ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში ბატონი მიხეილ უკლება, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე და სხვა მიწვეული საპატიო სტუმრები.

ეკა ირემაშვილი

ზურაბ ალიბეგაშვილი – XXI საუკუნის მეიგავე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მანულად. მთარგმნელი არ მჭირდება. ბატონ გოგი დოლიძეს ჰქონია ჩემი იგავები შენახული, ჩოხოსანთა ჟურნალშიც გამოაქვეყნა და ახლა აქვს სურვილი, ჩემი იგავები წიგნად გამოსცეს ქართულად.

– თქვენი იგავები გერმანულად უკვე გამოცემულია?

– დიახ, ჩემი იგავები გერმანულად უკვე გამოცემულია, ახლა ბატონი გოგი უკეთებს რედაქტირებას ქართულ იგავებს და ალბათ შემოდგომაზე წიგნი გამოცემული იქნება.

– თქვენ ჩამოხვალთ წიგნის პრეზენტაციაზე?

– მაქსიმალურად ვეცდები, საქართველოში ვიყო.

– რამდენი იგავი გაქვთ დაწერილი?

– 400-მდე იგავი მაქვს დაწერილი, ასევე ვწერ აფორიზმებსაც. სამივე ენაზე იგავებს თვითონ ვწერ, მერე უკვე რედაქტირებაა საჭირო. ბატონი გოგი დილიძის ინიციატივით გამოცემულ წიგნში სავარაუდოდ 300-მდე იგავი შევა.

– იმისთვის, რომ იგავი დაწეროთ, განსაკუთრებული განწყობა გჭირდებათ?

– არა. არის მომენტები, როცა დღეში ოთხ იგავსაც ვწერ, მაგრამ მაქვს პერიოდი, როცა მთელი თვე ერთ იგავსაც არ ვწერ. მე აქ არაფერ შუაში ვარ, ყველაფერი ზევით წყდება.

ეკა ირემაშვილი

გენო კალანდიას

მხატვრული ლიტერატურის დარგში წიგნისათვის „ფესვები“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ულოცავს პოეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **გენო კალანდიას** მხატვრული ლიტერატურის დარგში წიგნისათვის ,, ფესვები“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას და წარმატებებს უსურვებს შემოქმედებით ასპარეზზე.

გენო კალანდიას ნაწარმოებები ყოველთვის გამოირჩევა პოეტური აზროვნების მაღალი კულტურითა და პატრიოტული სულისკვეთებით. მისი პოეტური სტილისათვის დამახასიათებელია სისადავე და ჰარმონიულობა. პოეტის ფიქრები და განცდები სანუკვარ აფხაზეთს, ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოს დასტრიალებს. ავტორი საოცარი სიცხადით აღადგენს აფხაზეთის ომის ისტორიას თავის ნაწარმოებებში -,,ავტოგრაფები ქვაზე“, ,,რეკვიემი“ და ,,ისევ რეკვიემი“ . გენო კალანდია ასევე გახლავთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პოეტური ციკლებისთვის გენო კალანდიას მიღებული აქვს არაერთი ჯილდო - საქართველოს სახელმწიფო პრემია (1994 წ.), გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია (2002 წ.), ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და სხვა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქვით ნაგები ღობე; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 4. ჯავშნიანი ქვეწარმავალი; 5. წყნარი ოკეანესპირა კურორტი მექსიკაში; 6. ჩეხეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 7. საზაფხულო ფეხსაცმელი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ქალაქი აფხაზეთში; 12. უფროსი მღვდელი ეკლესიაში; 13. ჩინეთის იმპერატორთა დინასტია; 16. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 18. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 19. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 24. სპორტული შეჯიბრების არბიტრი.

თარაზულად: 1. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 3. იაპონური მოტოციკლეტი; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 9. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 14. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 15. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 17. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 22. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 23. წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 25. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდას რაიონში; 26. პოლონელთა წინაპარი, სახელმწიფოს დამაარსებელი; 27. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 28. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გელათი; 2. ტურინი; 3. მოცვი; 5. ხოზე; 6. როზეტი; 8. ანგინა; 11. თეოდოლტი; 13. „მეეზოვე“; 14. „ლატვარა“; 15. იურისტი; 19. ბორა.

თარაზულად: 1. გოლფსტრიმი; 4. სამხარი; 7. ლინდერი; 9. ვაჩნაძე; 10. ათინა; 12. ერისთავი; 16. კატმანდუ; 17. „რეკორდი“; 18. დარბაზობა; 20. ტელფერი; 21. კები; 22. ჩასპანდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაშო; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. „ვატერლოო“; 6. ყუმი; 7. ხარფუხი; 10. ლორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. ცემი; 16. სხალთა; 18. რენუარი; 19. ხაიამი; 21. ხორგო; 24. ვეკუა.

თარაზულად: 1. ბარცინო; 3. ქაბაბი; 8. „ხანუმა“; 9. შალე; 14. ბროსე; 15. ფერარი; 17. მეფე; 20. თაბახი; 22. ოდერი; 23. ალიევი; 26. ლაპი; 27. დუმა; 28. კართაგენი.

ნინო ბურჯანაძემ საქართველოს პრეზიდენტობისთვის ბრძოლა გადაწყვიტა

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსი ნონო ბურჯანაძე, ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება. მისი კანდიდატურა 20 მაისს ავტორიტეტულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, „სახალხო კრებამ“ წამოაყენა.

– მე გავაკეთებ ყველაფერ შესაძლებელს, რათა გავამართლო ყველა იმ ადამიანის ნდობა, ვინც ჩემი კანდიდატურა წამოაყენა. ისინი საქართველოს ნამდვილი პატრიოტები არიან, რომლებიც სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან იბრძოდნენ. ჩემთვის ეს წარდგენა დიდი პატივია, – განუცხადა ბურჯანაძემ „იზვესტიას“.

ამასთან აღნიშნა, რომ მისი აზრით, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე დღევანდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მომხრეებს არანაირი შანსები არ აქვთ.

– კანდიდატს სააკაშვილის პარტიიდან, სამართლიანი კენჭისყრის შემთხვევაში, საპრეზიდენტო ან ნებისმიერ სხვა არჩევნებზე გამარჯვებასთან დაკავშირებით არანაირი ილუზია არ უნდა ჰქონდეს, – მიიჩნევს ბურჯანაძე.

თავის მხრივ, პრეზიდენტის მომხრეები მას პრორუსულ გადახრებში ადანაშაულებენ და მიიჩნევენ, რომ ეს საშუალებას არ მისცემს სახელმწიფოს ჩაუდგეს სათავეში. მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ ბურჯანაძის პერსპექტივებს ასევე სკეპტიკურად აფასებს:

– ის აქტიური პოლიტიკოსია. ჰყავს მომხრეები, მაგრამ ჩვენი კანდიდატის, მარგველაშვილის გამარჯვების გვჯერა, – აცხადებს პარლამენტის ვიცე-პრემიერი, მმართველი პარტიის წევრი მანანა კობახიძე. მაგრამ პოლიტოლოგები ბურჯანაძის კანდიდატურის წამოყენებას მთლიანობაში მიესალმებიან. „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ წევრმა რამაზ საყვარელიძემ ამას პოზიტიური ფაქტორი უწოდა.

– ბოლო წლებში, ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ტენდენცია, როცა მთელი ხელისუფლება კონცენტრირებული იყო ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში, მაგრამ საქართველო ამით ბედნიერი არ ყოფილა. ხელისუფლებას ბალანსი სჭირდება“, – განუცხადა მან „იზვესტიას“.

„მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გია ნოდია მიიჩნევს, რომ ნინო ბურჯანაძეს არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსები არ აქვს და მისი მიზანი, პოლიტიკური ფუნქციების შენარჩუნებაა.

„თუ ნინო ბურჯანაძე არჩევნებში კენჭის იყრის, ერთი მხრივ, საკუთარ ამბიციებს დაიკმაყოფილებს, ასევე რაღაც პოლიტიკური ფუნქციების შენარჩუნება სურს; ხოლო მეორე მხრივ, ასრულებს პრემიერ-მინისტრის, მმართველი „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის სურვილს, შეიქმნას მესამე პოლიტიკური ძალა, რათა პროპრეზიდენტული, ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერთადერთი ოპოზიციური ძალა არ იყოს“, – განუცხადა გია ნოდიამ „კავკაზსკი უზელს“.

საერთაშორისო კვლევების და უსაფრთხოების ცენტრის ხელმძღანელი ნიკა ჩიტაძე თვლის, რომ ბურჯანაძე არჩევნებში მიიღებს ამომრჩევლის მხოლოდ 2-3 პროცენტის მხარდაჭერას და არ იქნება ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი კანდიდატების, რომლებსაც „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ წამოაყენებენ.

„სახალხო კრებას, რომელმაც არჩევნებში ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა წამოაყენა, არ აქვს დიდი ავტორიტეტი, ისევე როგორც თავად მას“, – აცხადებს ჩიტაძე.

ამავე დროს, სოციოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა მერაბ ფაჩულიამ „კომერსანტს“ განუცხადა, რომ ნინო ბურჯანაძეს შეუძლია იბრძოლოს მეორე ადგილისთვის, „თუ საკუთარ კამპანიას კარგად ააწყობს“.

ნინო ბურჯანაძე ორჯერ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას. პირველად ეს მოხდა 2003 წლის ბოლოს, 2004-ის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძის წასვლის შემდეგ, ხოლო მეორე 2007 წელს, როდესაც სააკაშვილი ნებაყოფლობით გადადგა, ვადამდელი არჩევნები გამოაცხადა და გაიმარჯვა. 2008 წელს ბურჯანაძე პრეზიდენტის ოპოზიციაში გადავიდა, შექმნა და სათავეში ჩაუდგა „დემოკრატიულ მოძრაობა-ერთიან საქართველოს“.

სენატმა სირიაში იარაღის გაგზავნის ნებართვა გასცა

ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოს სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდებაზე თანხმობა განაცხადა. ამის შესახებ ინფორმაციას ჟურნალი „უოლ სტრიტ ჯორნალი“ ავრცელებს.

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა თხუთმეტმა კონგრესმენმა როგორც დემოკრატების, ასევე რესპუბლიკელების მხრიდან. გადაწყვეტილების წინააღმდეგ სამი კონგრესმენი გამოვიდა. კანონპროექტი სრული შემადგენლობით განსახილველად გადაეგზავნება აშშ კონგრესის სენატსა და წარმომადგენლობით პალატას.

კანონპროექტი საერთაშორისო ურთიერობების კომიტეტის თავმჯდომარის დემოკრატი რობერტ მენენდესისა და რესპუბლიკელი კონგრესმენის ბობ კორკერის ინიციატივაა. კანონპროექტი საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს იარაღი მიაწოდოს სირიის თავისუფალ არმიას და ბაშარ ასადის სხვა მოწინააღმდეგე ძალას. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ეს იმ აჯანყებულებს ეხება, რომლებიც „ადამიანის უფლებებისა და ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ“.

კანონპროექტში არ არის ასახული კონკრეტული სია იარაღებისა, რომელთა გადაცემაც უნდა მოხდეს, თუმცა აღნიშნულია, რომ საუბარი ეხება ძირითადად ავტომატური ცეცხლის იარაღებს. გარდა ამისა, დოკუმენტში ნათქვამია, რომ კანონი არ რთავს ნებას სირიაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოწყობილობების გაგზავნას.

თუმცა, უცნობია ამ კანონპროექტს მიიღებს თუ არა კონგრესი და წარედგინება თუ არა აღნიშნული პრეზიდენტობამას ხელმოსაწერად. ამ დრომდე, როგორც ცნობილია, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამბოხებულთათვის სამხედრო დახმარების მიწოდებას მხარს არ უჭერს. თუმცა, ბარაკ ობამამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამერიკა ასადზე ზეწოლის როგორც დიპლომატიურ, ასევე სამხედრო ვარიანტს განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ სირიაში სამოქალაქო დაპირისპირება და კონფლიქტი ბაშარ ასადის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უკვე ორი წელია გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში, გაეროს მონაცემებით, 80 ათასადმე ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1,5 მილიონამდე ლტოლვილად იქცა.

ირანში ორი გავლენიანი პოლიტიკოსი საპრეზიდენტო არჩევნებზე არ დაუშვეს



ირანში ორ კარგად ცნობილ პოლიტიკოსს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განუცხადეს. ყოფილ პრეზიდენტ აკბარ ჰაშემ რაფსანჯანის და მოქმედ პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის მოკავშირე რაჰიმ მაშაის, არჩევნებში მონაწილეობა კონსტიტუციის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით აეკრძლათ. ირანის სახელმწიფო ტელეარხის ცნობით, 686 კანდიდატიდან არჩევნებში მონაწილეობას რვა ადამიანი მიიღებს. მაშაი ამ გადაწყვეტილების გასაჩივებას აპირებს, თუმცა მის მხარდამჭერებს სიმშვიდისაკენ მოუწოდა.

„როიტერის“ ცნობით, რვავე კანდიდატი, რომელთაც 14 ივნისის არჩევნებში მონაწილეობის ნება დართეს, ქვეყნის სულიერ ლიდერ აიათოლა ალი ჰამენეის მიმართ ლოიალურად განწყობილ პირს წარმოადგენს.

ირანის პრეზიდენტი, მაჰმუდ აჰმადინეჯადი აცხადებს, რომ გააპროტესტებს გადაწყვეტილებას 14 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მისი მრჩევლის დისკვალიფიკაციის შესახებ. აჰმადინეჯადის თქმით, ის ჰამენეისთან წამოჭრის ესფანდიარ რაჰიმ მაშაის დისკვალიფიკაციის საკითხს. „გუშაგთა საბჭოს“ მიერ დამტკიცებულ კანდიდატებს შორის არიან ბირთვული პროგრამის საკითხში მოლაპარაკებებზე ირანის დელეგაციის ხელმძღვანელი საიდ ჯალილი და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჰამენეის მრჩეველი, ალი აკბარ ველაიათი. თვითონ აჰმადინეჯადს პრეზიდენტობის ამჟამინდელი, მეორე ვადის ამოწურვის შემდეგ, ირანის კონსტიტუციით, აღარა აქვს საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება.

თავის მხრივ, აშშ-მა გააკრიტიკა ირანი მომავალ თვეში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი წამყვანი კანდიდატის გამოთიშვის გამო. ანალიტიკოსთა შეფასებით, დამტკიცებული კანდიდატების უმრავლესობა ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ჰამენეის მხარდამჭერები არიან.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პატრიკ ვენტრელმა ირანის ხელისუფლებას მოუწოდა ირანელებს თავისუფალი არჩევნის საშუალება მისცეს. ვენტრელის განცხადებით, „გუშაგთა საბჭომ“ კანდიდატების დაამტკიცა მხოლოდ იმის მიხედვით – ვინ უკეთესად დაიცავს რეჟიმის ინტერესებს და არა ირანელების ინტერესებს.

ფრაგმა ისტორიკოსმა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება თვითმკვლელობით გააპროტესტა

ფრაგმა მემარჯვენე ისტორიკოსმა, 78 წლის დომინიკ ვენერმა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინ თავი მოიკლა. სიკვდილამდე ისტორიკოსი აცხადებდა, რომ საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ რადიკალური ზომები უნდა მიეღოთ.

ადგილზე ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი მივიდა, მანუელ ვალსის თქმით: „ნოტრ-დამი პარიზის ულამაზესი ადგილია. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებად“.

ვენერმა სამშაბათს საკუთარ ბლოგზე დაწერა, რომ ძალიან გაბრაზებული იყო ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების გამო, რასაც „საზიზღარი“ ფაქტი უწოდა.

შეგახსენებთ, რომ მიუხედავად მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისა, საფრანგეთი მსოფლიოში მე-14 ქვეყანა გახდა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, ხელი მოაწერა კანონს, რომელიც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს უფლებას აძლევს ოფიციალურად გააფორმონ ქორწინება, წერს „ფრანს პრესი“.

სოციალისტი-პრეზიდენტისათვის კანონი „ქორწინება ყველასათვის“ იყო ერთერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება. მმართველობის პირველი წლის ბოლოს, როცა ოლანდის რეიტინგი რეკორდულად დაბალია, პრეზიდენტმა მაინც მიაღწია და მოხერხა პარლამენტში სკანდალური კანონპროექტის მიღება.

„ქორწინება ყველასათვის“ გაყო საფრანგეთის საზოგადოება და ქუჩაში გამოიყვანა – ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგე ასობით ათასი ფრანგი.

„ბი-ბი-სის“ ცნობით კი, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზების შესახებ ინგლისსა და უელსში: 366 დეპუტატი იყო მომხრე, ხოლო 161 წინააღმდეგი. წინააღმდეგნი უპირატესად იყვნენ კონსერვატიული პარტიის წევრები, თუმცა მათი ხელმძღვანელები საპირისპირო პოზიციისკენ იხრებოდნენ.

კანონპროექტს აპლოდისმენტებით შეხვდნენ ბრიტანელი ლეიბორისტები. ლეიბორისტთა ლიდერი ედ მილიბენდი და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ნიკ კლეგი ასევე ემხრობა ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას.

დევიდ კემერონის სიტყვით, საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს ახალგაზრდა ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად. კემერონი იმედოვნებს, რომ ახალი კანონი მალე შევა ძალაში და ერთსქესიანთა პირველი საქორწინო ცერემონიები უკვე გაისად მოეწყობა.

მართალია, დიდ ბრიტანეთში სერიოზული პირობები გაჩნდა ერთსქესიანი ქორწინებების დასაკანონებლად, მაგრამ ქვეყანაში არსებობენ სერიოზული მოწინააღმდეგე ძალები, ისეთები, როგორებიც არიან ანგლიკანური ეკლესია და უელსის პროტესტანტული ეკლესია; ამასთანავე, დოკუმენტს ელის განხილვა ლორდთა პალატაში, სადაც, სავარაუდოდ კანონპროექტი წააწყდება დიდ წინააღმდეგობებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

„ევროვიზიის“ კონკურსზე მომხდარი სკანდალების გამო, გამარჯვებულად შესაძლოა უკრაინის ნარმომადგენელი გამოცხადდეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით 12 ქულა უკარინის ნაცვლად აზერბაიჯანმა მიიღო.

თვის მხრივ, მუსიკალურ კონკურს „ევროვიზიის“ ორგანიზატორები ხმის მიცემის შედეგების გადახედვას არ გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ ხმის მიცემის შედეგების მიხედვით აზერბაიჯანმა რუსეთს არცერთი ქულა არ მისცა, რასაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც გამოეხმაურა და რუსი კონკურსანტის სასარგებლოდ მიცემული ხმების „გაუჩინარებას“ შემაშფოთებელი ფაქტი უწოდა.

კონკურსის წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით „ბი-ბი-სის“ განუცხადა, რომ ხმის დათვლის დროს დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. „ევროვიზიის“ კონკურსის ორგანიზატორებმა გაკეთებულ განცხადებაში ხაზი გაუსვეს, რომ ისინი პროფესიონალ ჟიურის წევრებზე ნებისმიერი ფორმის პოლიტიკური ზეწოლის წინააღმდეგ გამოდიან.

სამგლოვიარო განცხადებები

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ელმომარაგების სამსახურის თანამშრომლები გულწრფელად თანაუგრძნობენ ღვაწმოსილ მუშაკს, ბ-ნ გენო მშვენიერაძეს საყვარელი მეუღლის, ქალბატონ

ნანული ლოლაძე-მშვენიერაძის

გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი 21, 22 მაისს, 16 საათზე.
დაკრძალვა 23 მაისს, 12 საათზე.
მის.: გლდანი, მე-5 მ/ნი, კორპ. 22-ა.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ხუთშაბათი 23 მაისი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** „მოამბე„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ **15.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ **17.00** დ/ფ „სიცოცხლე„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** ტ/სერ „სიყვარული და ფურისძიება„ **21.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ **22.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ **23.00** „არენა„ **00.00** მხ/ფ „ბამაცი„ (ჯ.ფოსტერი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** „ბრიფინგის დრო„ **11.00** დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ მე-5 ნაწ. **14.00** ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ **16.00** დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 6 ნაწ. **19.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **22.00** „არგუმენტების დრო„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „დაუვიწყარი„ **11.20** სერ. „მაფიის ქვრივი„ **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. „დამალული სიმართლე„ **17.50** სერ. „მაგნატები„ **18.50** სერ. „აკრძალული სიყვარული„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** მხ/ფ „მოუშორებელი ჭირი„ (ვ.ლედუაიენი) **00.30** მხ/ფ „სისხლიანი განაჩენი„ **02.15** მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია„ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი„ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე„ **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. „ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „ცრემლების გვირგვინი„ **20.05** სერ „ერთგულების ძალა„ **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.35** მხ/ფ „ხარება და გობია„ I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ „ქართველი ცხენოსნები ჰოლანდიაში„ **11.00** დოკ/ფ „წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი„ **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ „ჩემი გოშები„ **13.25** კონცერტი - „თბილისური ავტოგრაფი„ **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **15.55** კონცერტი - ანს.„მძლეველი„ **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „მონანიება„ I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** დოკ/ფ „ქართული კალათბურთი„ **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ „ფუტკრის დუმილი„ **00.40** განთიადის სტუმარი **01.10** მხ/ფ „ხარება და გობია„ II სერ.

მაესტრო **7.00, 3.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 1.00** ახალი ამბები **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ **14.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ **19.00** სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.00** „ყოველდღიური აბები„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 მაისი

- აშშ დოლარი — 1,6360
- ევრო — 2,1049
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4938
- 100 რუსული რუბლი — 5,2113

ამინდის პროგნოზი 23 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 23 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, გახარებული ხართ. **ქალწული** – ფულს იშოვით, საყიდლებზე წახვალთ. **სასწორი** – გზიდან ფულსა და საჩუქარს ელოდეთ. **ღრიანკალი** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **მშვილდოსანი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** – გელით კარგი ამბები, გახარებული ხართ. **მერწყული** – დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **თევზები** – ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, ისინი არ გიღალატებენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. თურქული აბანო; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. სხვაობა, ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 11. ქართველი ძიუდოსისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 15. მონასტერი ქსნის ხეობაში; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ღვინის შესანახი ჭურჭელი.

თარაზულად: 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი რადიოტექნიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 9. მე-14 საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10. სამატომიანი ჟანგბადი; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 18. წვრილად დაჭრილი და ერთმანეთში არეული, სხვადასხვა ბოსტნეულით მომზადებული ცივი საუზმეული; 20. სარწმუნოება ანუ ...; 21. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 22. პოპულარობის მაჩვენებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ზურაბ ალიბეგაშვილი — XXI საუკუნის მეიგავე

ზურაბ ალიბეგაშვილი გერმანიაში მცხოვრები ქართველია. ის თანამედროვე მეიგავეა და მას უკვე 400-მდე იგავი აქვს დაწერილი. ამჯერად მეიგავე საქართველოშია და პროფესორ გოგი დოლიძესთან ერთად თავისი იგავების ქართულენოვან გამოცემაზე მუშაობს.

ზურაბ ალიბეგაშვილი იგავებს სამ ენაზე წერს – ქართულად, რუსულად და გერმანულად. გერმანულ ენაზე მისი იგავების კრებული უკვე გამოცემულია. იგავებთან ერთად იგი აფორიზმებსაც წერს, რომლებიც გენმანულენოვან კრებულშია შეტანილი.

როგორც თანამედროვე მეიგავემ „ახალ თაობას“ განუცხადა, იგი თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობდა კიდეც, თუმცა გერმანიაში უწყვეტად მიმოსვლის გამო, მან საქართველოში სწავლა ვეღარ გააგრძელა და გერმანიაში სამუდამოდ გადავიდა.

ზურაბ ალიბეგაშვილი მხატვარიცაა, გადაღებული აქვს ერთი ფილმი, რომელსაც საქართველოში არც კი იცნობენ. მისი იგავების გერმანულენოვანი გამოცემა მხატვრულად მის დას, ასევე მხატვარ მაია ალიბეგაშვილს აქვს გაფორმებული. ქართულენოვან კრებულს კი წიგნის შემდგენლები უკვე თავად ზურაბ ალიბეგაშვილის ნახატებით გააფორმებენ.

გოგი დოლიძე, კინომცოდნე, წიგნის რედაქტორი:

– წლების მანძილზე როგორღაც ჩემს ხელთ იმდენი და ისეთი, ჩემი აზრით, საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოებები დაგროვდა, რომ უფლებაც არ მაქვს ყოველივე ეს მკითხველს არ მივაწოდო. მათი ავტორები აბსოლუტურად უცნობები არიან საზოგადოებისთვის – ჩემი ახლობლები, საგანგებოდ გაცნობილი ადამიანები, ყოფილი სტუდენტები. როგორც იტყვიან, რისკი კეთილშობილება არისო და არ მესმის, რატომ არ უნდა გავრისკო იმით, რომ ქართველ საზოგადოებას წარვუდგინო ჩემი ერთი ყოფილი სტუდენტის ზურაბ ალიბეგაშვილის იგავები. ეს ფრიად მორიდებული და თავაზიანი ყმაწვილი გასული საუკუნის 80-იან წლებში სწავლობდა ჩვენთან, მაშინ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანი გახლდით. მაშინ საზღვარგარეთ ფიზიკურად სამუშაოდ წამსვლელთა აგორებულმა ტალღამ გაიტაცა იგი, ერთხანს კი მწერდა და მირეკავდა კიდეც, მაგრამ შემდეგ ეს კავშირიც გაწყდა და ასე შემრჩა მისი, ვიმეორებ, ჩემი აზრით, შესანიშნავი იგავები, ნოველები თუ მინიატურები. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ მისი შემოქმედება წარმედგინა ფართოდ ქართველი მკითხველისთვის.

თავდაპირველად ჩოხოსნების ჟურნალში მისი სამი მინიატურა გამოვაქვეყნე, ვიფიქრე, ეგებ ვინმე მისმა ახლობელმა წაიკითხოს, გამომეხმაუროს და შემატყობინოს, სად არის ახლა, იქნებ საქართველოშიც დაბრუნდა-მეთქი. როგორც ხედავთ, ზურაბი ახლა ისევ საქართველოშია, მართალია მცირე ხნით, მაგრამ მის ნაწარმოებებს აუცილებლად გავუკეთებ რედაქტირებას და ქართველ მკითხველს მის იგავებს სულ მალე შევთავაზებთ.

ზურაბ ალიბეგაშვილი:

– ძალიან დიდი ხანია იგავებს ვწერ. უკვე წლებია გერმანიაში ვცხოვრობ და სამ ენაზე ვწერ იგავებს – ქართულად, რუსულად და გერ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

იასმინ რეპეშა ხორვატიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გაწვრთნის

ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების მეტოქე ხორვატიის მოქმედმა მწვრთნელმა 2 კვირის წინ განაცხადა, რომ თუკი მისი კლუბი, მალაგის „უნიკახა“ კონტრაქტს გაუხანგრძლივებდა, ის თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს სლოვენიაში, ევრობასკეტზე ვერ გაჰყვებოდა. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მალაგელებმა „ბარსელონასთან“ წააგეს და პლეიოფში გამსვლელ 8 საუკეთესო გუნდში ვერ მოხვდნენ. „უნიკახას“ ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა ხორვატ სპეციალისტს და 1 პლუს 1 წლიანი კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით აღარ გაუხანგრძლივა.

რეპეშა გუნდის გარეშე დარჩა და ხორვატიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე უხელმძღვანელებს. ის ნაკრებში ყველა სახელიანი და ღირსეული კალათბურთელის გამოძახებას გეგმავს. გასულ სეზონში, ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე, რეპეშას გაწვრთნილმა ხორვატებმა 2 ლიდერის – ბარსელონელი ანტე ტომიჩის და ჟალგირისელი მარკო პოპოვიჩის გარეშე მოახერხეს ყველა მატჩის მოგება. წარმატებულმა თამაშმა და ევრობასკეტის საგზურის ვადამდელმა მოპოვებამ საშუალება მისცა იასმინ რეპეშას, შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე დაეტოვებინა ხორვატიის ნაკრები და „უნიკახას“ შეერთებოდა, რომელთანაც გასულ სექტემბერში პლუს 1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. საკვალიფიკაციოს ბოლო ტურში, ავსტრიის ნაკრებთან, რეპეშა ნაკრებთან ერთად აღარ იმყოფებოდა.

საქართველოსა და ხორვატიასთან ერთან ევროპის ჩემპიონატის ჯგუფში ესპანეთი, სლოვენია, პოლონეთი და ჩეხეთი მოხვდნენ. საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებები ერთმანეთს 5 სექტემბერს დაუპირისპირდებიან.

მ. ჟ.

„ევროვიზიის“ კონკურსზე მომხდარი სკანდალების გამო, გამარჯვებულად შესაძლოა უკრაინის წარმომადგენელი გამოცხადდეს



„ევროვიზია 2013“-ის შედეგები შესაძლოა გადაიხედოს და გამარჯვებულად უკრაინის წარმომადგენელი გამოცხადდეს. ამის მიზეზი ის სკანდალები გახდა, რომელთა ცენტრშიც დანია და აზერბაიჯანი აღმოჩნდნენ.

დანია, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა, სკანდალის ეპიცენტრში პლაგიატში დადანაშაულების შემდეგ მოხვდა. ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა გამარჯვებულ სიმღერასა და ჯგუფ „კოტიკის“ სიმღერას შორის საეჭვო მსგავსება აღმოაჩინეს.

ამავე დროს ლიტველმა ჟურნალისტებმა აზერბაიჯანი დაადანაშაულეს გადახდილი ნომრებისთვის მასობრივ ხმის მიცემაში.

დანიელ ემილი დე ფორესტისა და აზერბაიჯანელ ფარიდ მამედოვის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში „ევროვიზიის“ გამარჯვებული მესამე ადგილზე გასული უკრაინელი ზლატა ოგნევიჩი გახდება.

ზლატა ოგნევიჩმა კი განაცხადა, რომ მას ამ ფასად გამარჯვება არ სჭირდება და მესამე ადგილით ის სრულიად კმაყოფილია.

უკრაინის სასარგებლოდ განცხადება გააკეთეს ჩერნოგორელმა ჟურნალისტებმა. მათი თქმით, ნახევარფინალში ზლატას ჩერნოგორიის ჟიურიმ და მაყურებელმა 12 ქულა მისცა. მათივე თქმით, ფინალში მან ჟიურისგან ასევე მაღალი შეფასება მიიღო,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

რა ღონისძიებებია დაგეგმილი 26 მაისს?

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სხვადასხვა ღონისძიებები ჩვენი ქვეყნის 25 ქალაქში გაიმართება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის მანანა ბერიკაშვილის განცხადებით, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 26 მაისს საქართველოს 25 ქალაქში გაიმართება.

– ეს იქნება უფრო სახალხო დღესასწაული, ვიდრე ერთი რაიმე კონცერტი, თუმცა რაღაცები დაგვიტოვეთ სიურპრიზად. რაც შეეხება თბილისს, ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება როგორც რუსთაველის გამზირზე, ასევე გლდანში და ვარკეთილში, – განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

თბილისის მერიამ 26 მაისთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები უკვე გაახმოვანა. ახალგაზრდული ორგანიზაცია „ფორევარ“ (ყოველთვის) ქალაქ თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებასთან ერთად, განახორციელებს ღონისძიებათა ერთობლიობას, სახელწოდებით „საქართველოს მოპოვებული, დაკარგული და აღდგენილი დამოუკიდებლობა – 1918-1991 წლები“.

– ჩვენ მიერ დაგეგმილი ყველა ღონისძიება ატარებს არაკომერციულ, არაპოლიტიკურ ხასიათს. მათში მონაწილეობის მიღება და დასწრება იქნება თავისუფალი. ღონისძიებები დაგეგმილია 20-26 მაისს და იქნება ინტელექტუალურ-შემეცნებითი ხასიათის. სამოქალაქო საზოგადოების ამ კუთხით ნაკლებად ინფორმირებულ ნაწილს ექნება საშუალება მიიღოს მეტი ინფორმაცია საინტერესო ფორმატით. ღონისძიებათა ნუსხა კი ასეთია: ჩატარდება საქართველოს 1918-1921-1924 წლების მოვლენათა შესახებ სამეცნიერო კონფერენცია, გაიმართება საქართველოს 1918-1921-1924 წლების მოვლენათა ამსახველი თემატური ექსპოზიცია, მოეწყობა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ამსახველი ფოტოგამოფენა, ასევე გეგა კობახიძის ნახატების გამოფენა, ნაჩვენები იქნება კინო ფილმები გეგა

გაგრძელება მე-10 გვერდზე